

832  
1952

ქვები

დროშა

"NOTRE DRAPEAU"

Directeur: MICHEL STOUROUA.

N° 11

გარები

ბ ა რ ი ი

Paris.

1952

## ს ა ბ ჭ ი თ ა მ თ გ ა ვ ა ლ ი:

საბჭოთა მომავალი სწრაფი ნაბიჯით მიექანება გაქრობისაკენ. მის წინააღმდეგ ირამშება ევროპა-ამერიკა. დგება ერთი ევროპიული სამხედრო ბანაკი, რასაც ემატება დასავალეთი გერმანიის ჯარი. ამათი დროშაა—თავისუფლება ხალხების, განთავისუფლება დამონებულთა. ასეთებია დღეს მხოლოდ საბჭოთა იმპერიაში. მოსკოვი განმარტოვებულია პოლიტიკურათ და მხედრულათ. ჩინელთა იმედი შათ ვერ ექნებათ, ისინი არასოდეს არ წარმოადგენდნ სამხედრო ძალას, მან ვერ დაიპყრო კუნძული ფორმოზა, სადაც ბინადრობს ჩანკაიშევის მთავრობა. საბჭოები იქიდან იარაღით დახმარებას ვერ მიიღებნ.

აი ამ ახალ საერთაშორისო მდგომარეობამ შეაცვლევინა მოსკოვს თავისი საგარეო პოლიტიკა, ის გამოდის მშეიდობიანობის მედროშეთ. ვიშინევი სწორეთ ამ დროშით გამოვიდა შეერთებულ ერთა კონგრესზე და მოითხოვა მშეიდობიანობის დამყარება მსოფლიოში. მისი გამოსვლა დარჩა ხმად მღალადებლისა. არავინ დაიჯერა კომუნისტური მთავრობის მშეიდობიანობა. მოსკოველთა მთელი საშინაო და საგარეო მუშაობა წარმოებს ერთ ხაზზე—ევროპის გასაბჭოება, ხოლო ეს განხორციელდება ზავით თუ ომით ეს გარემოებათა საქმეა. რაც კი დააჩქარებს ამ პროცესს, შეიყვანს დასავლეთს აღმოსავლეთის საყარაულოში და მით გააჩატონებს სტალინს მსოფლიოშე—არის და იქნება მიზანი მოსკოველთა მუდმივი მუშაობის.

ამ დროშის მოხსნა იქნება დასაჯერებელი მხოლოდ ერთ შემთხვევაში: თუ მოსკოვი შეუდგება შინაგან ძირითად ცვლილებებს—ექონომიკურს, პოლიტიკურს, ეროვნულს—ერთი სიტყვით დადგება რეფორმების გზაზე. რუსეთის გაევროპიელება, მისი მსოფლიო კალაპოტში მოქცევა—ერთად-ერთი საბუთია ბოლშევიკების სამშეიდობო საერთაშორისო ურთიერთობის. სანამ ეს არ არის, ხოლო რაც არის მიმიმართება სწორეთ საწინააღმდეგო გზით—მანამდე ევროპა-ამერიკის სამხედრო მზადება არ შეწყდება, ვერ შეწყდება. ვიშინევის საპროცესტო ნოტა ამერიკის მიმართ—ნუ ერევით რუსეთის შინაურ საქმეებშით იყო მეტათ ხეპტრული და სამარცხებინო გამოსვლა. ერთი მთავრობის მეორე მთავრობის საქმეებში ჩარევა დაიწყო სწორედ მოსკოვმა, გაიჩინა ყველა სახელმწიფოში, ყველა ერში თავისი ბოლშევიკური რაზმები და მათი საშუალებით შეეცადა ევროპის გასაბჭოებას. ეს რაზმები დღესაც არსებობდნ ყოველგან, თუმცა გავლენა და ძალა დაეკარგათ. კომუნისტური მიმართულება დიდათ დასუსტდა მუშათა კლასში, ზოგან მთლათ დავარდა, როგორც მაგალითად ინგლისში და ამერიკაში, ხოლო საფრანგეთში მათი დეპუტატთა რიცხვი ასამდე ჩამოქვეითდა:

ერთი სიტყვით, მოსკოვმა დაკარგა როგორც საგარეო ძალა, ისე საშინაო და მიეკანება უფსკრულისაკენ.

კაცობრიობის განვითარება არ ხდება ორი მოპირდაპირე ხაზით. თუ რამე ამის მზადესი დაიწყო, ჩეარა ფეხს მოიტეხს ერთი მათგანი და ბატონდება მეორე. ასეთი მოვლენაა დღე-საც. ცივილიზაცია მიღის ორი გზით—მოსკოვის და ევრო-პის. საბჭოელთ სწამთ, რომ საბოლავოთ ისინი გაიმარჯვებენ და დასავლეთის ცივილიზაციის ალაგას ააგებენ თავისას. მა-გრამ ამ სამოსკოვო ცივილიზაციაში ახალი არაფერია, დეს-პოტია, ძალმომრეობა იყო წინეთაც, დღესაც არის აგერ-ეგერ. აი ეს რეაქციონური წასული დამხო ახალმა ცივილი-ზაციამ, რაიცა დღეს გაბატონებულია დასავლეთში. ახალი მოსკოვიადა არის განმეორება ძველის, დაბრუნება ივანე მრისხანეს დროისაკენ, აღდგენა დიდი ხანია დამარხული სა-ხელმწიფო პოლიტიკის.

დღეს ამ მკვდრეთით აღდგენილ მოსკოვიადას ეპირდა-პირდებიათ თავისიუფალი ხალხები, მის დასანგრევათ ემზადე-ბა ევროპა—აქერიკა. მათ ხელს უწყობს კომუნიზმის დაგარდ-ნა დასავლეთში, მოსკოვს გამოეთმიშა ყოველგან მშრომელთა კლასი; მათ ალაგს ამ უამათ იჭერს აზია-აფრიკის მცხოვრებნი თავისი ნაციონალური მოძრაობით. ბოლშევკიუბი ახლა აქ ეძებენ სამუშაო ნიადაგს, სურა ევროპის განდევნა ამ ქვეყნე-ბიდან და მათი ალაგის თვითონ დაჭერა: აზიაში ააფრიალეს დროშა «აზია აზიელებს», ინდონეზიაში აშკარათ ეხმარებიან იარაღით ადგილობრივ აჯანყებებს საფრანგეთის წინააღ-დებ. აფრიკაში ტუნიზიელები ებრძებიან იარაღით საფრან-გეთს, ეგვიპტეში და სპარსეთში ინგლისელებს—ერთი სიტ-ყვით ყველა კოლონია ამ უამათ აფორიაქებულია და საბჭოე-ბი მათ ეხმარებიან. ამის ძირითადი წამალი ერთია: ევროპა უნდა გამოვიდეს ამ ქვეყნებიდან, დადგან მათთან სხვადასხვა ხელშეკრულობა, უმთავრესათ ეკონომიკური ხასიათის, ერთი სიტყვით განიმეორონ ინგლისის ახალი საკოლონიო პოლი-ტიკა ინდოეთში. ასეთ პირობებში მოსკოვს დაეკარგება გავ-ლენა და იძულებული იქნება ჩაიკეტოს თავის საზღვრებში.

ერთი სიტყვით დღეს ბოლშევკმა არსად არავითარი იდეიიური გავლენა არ აქვს. ის რუსეთშიაც არსებობს ძალით, ტერორით, დესპოტიური ზომებით. ახლა მას დარჩია ერთი გზა—ხელი შეუწყოს ნაციონალურ მოძრაობას დასავლეთის წინააღმდეგ. მაგრამ ყველამ იცის, რომ თვითონ დაიპყრო თავისუფალი ერები და მათი დახმარების ერთა თავისუფლე-ბის მოსაპოვებლათ აღარავის სჯერა.

ამნაირათ, დღეს ყველასათვის ნათელია რომ ბოლშევკიზმი გაკოტორდა სოციალურათ, პოლიტიკურათ და ნაციონალუ-რათ. ერთი მისი წამიდება და უფსკრულში გადავარდება.

ნ. ქ.

## პატარიძის «ივარი».

ჩვენს წინა სტევს «ივარია»-ს მეოთხე ნომერი. ჩვენს პუბლიცისტიკაში, მთელს ჩვენს მახსოვრობაში, ასეთ უმსგავსოდა ბინძურ გამოსვლას ადგილი არ ქონია არც აქ, და არც იქ, საქართველოში. თუ რამე კი არსებობს დასმენის და ლანძღვაგინების მასალა—აქ ყველაფერია. ჩვენ ვრწმუნდებით, რომ საქმე არ გვაქვს არც პუბლიცისტიკასთან და არც სახოგადო მოღვაწესთან. «ივარია»-ს ყველა სიბინძურის დეტალურათ გარჩევა—ეს იქნებოდა ჩვენი განხეთის და ჩვენი ღირსების დამცირება. მაგრამ არ შეგვიძლია არ ავლიშნოთ, რომ ამ გამოსვლით სავსებით დაგვირგვინდა ის მუშაობა, რომელიც ამ განხეთმა თავის არსებობის მთავარ მიზნათ დაისახა.

ჩვენ ჩშირად გვქონია შეხლა. შემოხლა ნაც.. დემოკრატებთან. განსვენებული სპ. კედია—ეს იყო ჩვენი დიდი მოწინააღმდეგე. მაგრამ რაც მან დასტოვა, იმას ჩვენ არ ვთვლით და არც შეგვიძლია ჩავთვალოთ ჩვენს პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთ.

გაბაშვილი და პატარიძე ამ საქმის შეთაური. ეს ამათ აიდეს თავზე წაბილწე ჩვენი წარსულის; იმ წარსულის, რომლითაც ქართველ ხალხს შეუძლია იამაყოს 26 მაისი, რესპუბლიკა და მისი კონსტიტუცია, მისი აგრარული რეფორმა, მისი მუშათა კანონმდებლობა, მისი მართველობა, მისი მთავრობა, მისი მეთაური—უოველივე ეს ასე უდინერათ წაბილწეს ყოველგვარ მორალის საზღვრების გადალაპვით, ამ ორმა, უპასუხისმგებლო პირმა და ამავე დროს ბეჭავენ კიდევ საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენისა და დასაცავათ გამოსვლას!

მთელი ჩვენი სამი წლის სახელმწიფოებრივი მუშაობა, ის მუშაობა, რომლის შესახებ საფრანგეთის პრემიერი ბრიანი «ალიების» უმაღლესი საბჭოს სახელით, ქართველ ერს საჯაროთ ეუბნებოდა—დიდის აღტაცებით ვადევნებოთ თვალყურს თქვენს სახელმწიფოებრივ მუშაობასო, და რომელსაც ერიომ «აღმოსავლეთის ბეჭლია» უწოდა—უოველივე ამას პატარიძე-გაბაშვილი ასე აფასებს: «ოღლშევიკების მიბაძიოთ ხოცავდნ მემამულების, „უსაქმურთ“ ტყის საჭრელათ გზავნიდნ, ბურეუაზიას—სახლებს, ქარხნებს, ავეჯს, ჭურჭლებს და... შამპანიურსაც ართმევდნენ და ასახლებდნენ» თ და სხ. და სხ.

ანდა ნ. უორდანია ეს ცოცხალი განსახიერება რუსეთის თვითმყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელმაც გზაგაუსნა ქართველი ერის თავისუფლებას, შესაძლებელი გახდა 26 მაისი; კაცი, რომელიც ქვეყნის დაცემის შემდეგ ქართველი ერის დროშათ არის მიმჩნეული და, დღესაც, ამ საში-

ნელი რეკიმის ქვეშ, ქართველი ხალხის ლეგენდათ არის გამოხატარი; ამ ჩვენი ქვეყნის ერთად-ერთ პრეზიდენტს, ვილაც უცნობი, პოლიტიკურ უგვარტომზ პატარიძე შედავს და ისე უდიერათ იხსენიებს, რომ თუ ქართველ ემიგრაციაში სულ არ ჩამოვარა ეროვნულ თავმოყვარეობის გრძენობა, ასეთი «პატრიოტი», და ასეთი «მღვდელი» ქართველი ერის მოსისხლე მტრის ბრძანათ უნდა იქნეს გამოცხადებული.

6. ეროვნულისა არავისგან დაცუა არ სჭირდება და მერე ვისი თავდასხმისაგან! ის იყო და დარჩება საქართველოს ისტორიის საუკეთესო და ბრწყინვალე ფურცლების მატარებლათ და თუ ჩვენ დღეს ამაზე გვიხდება ლაპარაკი—ეს მხოლოდ იმისთვის, რომ ერთხელ, და ვფიქრობთ სამუდამოთ, ალენიშვილი იმ მდაბალ სულთა მოქმედება თუ მოღვაწეობა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ემიგრანტულ სინამდვილეში.

ჩვენ უნდა გავიმეოროთ, რომ ეს არაა მარტო ამ ალვირ-შახესნილ პირთა ბოროტების გამომზეურება. ჩვენთვის აშკარაა, რომ ეს წინასწარ განძრავული გეგმის განხორციელებაა. აյ მიზნათაა დასახული ამ მთავარ ხერხების ჩატება, რომ ბრძოლა ქართველი ხალხის უფლებების წინააღმდეგ გაადვილდეს. სრულებით არა საინტერესო ხაკითხი, არის თუ არა პირდაპირი კავშირი მტერთან, მეტსაც ვიტყვით, არა აქვს მნიშვნელობა იმას, რომ ისინი არიან თუ არა სამსახურში, ამას არც ვამტკიცებდით და არც აზრათ გვაძეს ეს ვამტკიცოთ, მაგრამ ერთი კი უდავოა: ასებითად და ობიექტიურათ ისინი ამ მტრების ზრაცხებს ახორციელებენ.

სიცრუეა ქორდანია პოლიტიკურ ემიგრანტებს სახლში  
დაბრუნებას უჩევევდა, მაგრამ რომ ამისთან «პოლიტიკურ  
ემიგრანტებს», რომელიც აქ, ემიგრაციაში, აკეთებებს იმ სა-  
ქმეს, რომელიც იქ, საქართველოში კეთდება რეეიმის მიერ,  
რასკვირველია, ასეთი ემიგრანტების აქ ასებობას არავი-  
თარი გამართლება მართლაც რომ არ აქვს. ქორდანიას და  
მისი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ფულსაც იძლე-  
ვიან და ჯილდოსაც...

ჩევნ სოც.-დემოკრატებს არ ვებრძეოთ—სწორენ ისინი. ვინ უნდათ შეიყვანონ შეცდომაში! ნუ თუ მართლა პგონიათ, რომ ჩევნს ორგანიზაციაში მოიძებნება თუ გინდ ერთი, რომ მელიც ასეთი უმგვანო ხერხით შეცდომაში იქნება შეყვანილი! სწორეთ რომ ნ. კორდანიას და მისი მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლით, ისინი ებრძეინან იმ მთავარ ძალას, რომელიც ამ პოლიტიკური ლაშქრის ერთ-ერთი ნაწილია. ჩევნ ვფიქრობთ, რომ არა მარტო სოციალ-დემოკრატები, არამედ არც ერთ ქართველში, რომელ ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდეს ის, თუ კი მას სულიერი კაშირი აქვს შერჩენილი თავის ქვეყანასთან, არ შეუძლია უსაზღვრო ზიზღით არ შეხედოს დიდებითა—ს ამ უმდანო მანივესტრაციებს.

დღევანდველ სატათარაკო მომენტში, როდესაც ყოველ-

დღე მოსალოდნელია ორ ძალთა სამკედრო-სასიცოლხლო ბეტანება, რამაც ჩვენი ქვეყნის ბედი უნდა გადასწყვიტოს; როცა ქართველი ერის უწენაესი ინტერესი მოითხოვს ყველა ჩვენი სასიცოლხლო ძალების დახმარებას, მათ სულიერათ შეკვრას და ორგანიზაციულათ შეკავშირებას; როცა ეროვნული დისკიპლინა გამხდარა ერთად-ერთ საშვალებათ ჩვენი ფიზიკური გადატენისათვის—ასეთ დროს, ასეთ მომენტში, ამ ქართულ ბანაკში შემოტანა პირადი ბოლმის და პირადი შურისბიექტის—აი ეს უნდა იქნეს გამოცხადებული ეროვნულ ლალატათ და ამიდან უნდა გაიმიჯნოს ყოველი კეთილ სინდისიერი ქართველი, თუ მას უნდა დღევანდელ ისტორიულ პასუხისმგებლობის სიმაღლეს შერჩეს...

## მცირე შენიშვნები

დ ი დ ა მ ბ ე ბ ჲ მ.

ლისაბონიდგან დაბრუნებულს, ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტრს, აჩესონს, პრეზიდენტი ტრუმანი სადგურზე დაუხვდა.

ასეთი იშვიათი, თითქმის უპრეცენდენტო ამბავი, რასაკვირველია, მეგობრულ ურთიერთობით არ აიხსნება. ამერიკის შინაურ საქმეებში ცოტათი ჩახდულ პირისათვის, ამ აქტის პოლიტიკური სარჩული სრულიად აშკარაა.

საქმე იმაშია, რომ თუ მოსკოვთან ახალი დიდი ომის აუცილებლობის საკითხი, არც ერთ ამერიკულ მართველ წრეებში არ იწვევს დავას, სამაგიკროო, მისი წმინდა სამხედრო-სტრატეგიული მხარე დღესაც არ არის სავსებით გარკვეული.

მაյ არტურის ცნობილი ისტორია—ამ დავის მხოლოდ ერთ-ერთ ეპიზოდათ უნდა ჩაითვალოს; აჯანყებულ ლენინის გადაგდებით უთანხმოება მხოლოდ შენელდა; მართალია ერთ კონცეპციას მეთაურობა წაერთვა, მაგრამ თვით დავა მართველ წრეებთა წიაღში დარჩა და დღესაც მას გავლენიანი დამცველები ყავს.

დამბენ იმას თუ რომელ ფრონტს უნდა მიენიჭოს უპირატესობა: ევროპას თუ აღმოსავლეთს. აზრთა შეხლა-შემხსლა იმის შესახებ, თუ სად უნდა დაგროვდეს ამერიკის მთავარი შეიარაღების პოტენცია, რა ხაზით უნდა იქნას ომის დასაწყისში სამხედრო ოპერაციები. ერთი სიტყვით, სად უნდა იქნეს ამ ახალ საკაცობრიო კათაკლიზმის გამოსავალი წერტილი?

დღემდის, როგორც ვიცით, ამერიკის სამხედრო და პოლიტიკური საქმიანობა ევროპის დაცვის ხაზზე იყო აგებული. ეს ფრონტი პრივილეგიურ მდგომარეობაში იყო ჩაყენებული; დიდი დრო და აუარებელი ნივთიერი რესურსებია მის გასაძლიერებლათ დახარჯული. მაგრამ დიდ შეცდომას დაუ-

შეებდით გვეფიქრნა, რომ ამით მთავარი საკითხი ამოწურულია.

ლისაბონის კონფერენცია უსათუოთ ტრუმან-აჩესონის, ან უკეთ რომ ესთქვათ, ევროპიულ ფრონტის უპირატესობის გამარჯვებაა. ამ კონფერენციაზე, ატლანტიკის პაქტში შემავალ თოთხმეტ სახელმწიფომ ევროპა პოლიტიკურ და სამხედრო ერთეულად ალიარა და მის დასაცელ ნივთიერ და სამხედრო მსხვერპლის თავანთ თავები აღებით—ევროპის ფრონტის პირველობა უდაოთ დაადასტურა.

სწორეთ ამას გაუსვა ხაზი პრეზიდენტ ტრუმანმა დახვედრისას სამადლობელ მისალმებაში და მეორე დღესვე კონგრესს შეიღია მილიარდი და ცხრასი მილიონი დოლარი ევროპის დასახმარებლით მოსთხოვა.

სამწუხაროთ, ლისაბონში ტრუმანის პოლიტიკის გამარჯვება ხანგრძლივი არ გამოდგა: მას თან მოჰყვა საფრანგეთის მთავრობის კრიზისი. არ უნდა დავიკიტუმოთ, რომ საფრანგეთი ევროპის თავდაცვის საქმეში ამერიკის მთავარი პარტნიორია; მას ანიჭებს ამ როლს მისი გეოპოლიტიკა. დღევანდელი მთავრობის გაზშირებული კრიზისები, ცხადია, ხელს ვერ შეუწყობს მის მიერ ამ დიდი მისის განაღდებას. საფრანგეთის მართველობის მერყეობა (Instabilité) სრულიად არ ახსნება არც ფინანსიური, მით უმეტეს, არც მისი ეკონომიკური მძიმე პირობებით. ეს არის მოვლენის მხოლოდ გარეგნული მხარე; საფრანგეთის ეკონომიკურ ალორბინების ფაქტს ვერავით ვერ უარყოფს. მართალია მისი სავაჭრო ბალანსი ამ დროებით მოიკოჭლებს, მაგრამ ამ ბუნებით მდიდარ ქვეყნისა და ხალხისათვის უცხო დევიზების შემცირება და ფინანსიური სიძნელე, ეს შედარებით, ისეთი გარდამავალი რამ არის, რომ ამას საფრანგეთი სულ ადვილათ მოერეოდა: საქმარისია დაბეროს ნდობის სიომ, როგორც ამას ბუნებარეს დროს ქონდა ადგილი, რომ ჯადოსნური კვერთხის ერთის დაკვრით გაიღოს სარდაფები და იქ ჩაფლულმა ოქროებმა ფინანსიურ კრიზისს ბოლო მოუღოს.

საფრანგეთის მთავრობა დღეს იმიტომ ვერ მთავრობობს, რომ მას პარლამენტში, ერთ საგარეო პოლიტიკის ხაზზე მდგრმი უმრავლესობა არ ყავს; უფრო ნათლათ რომ ესთქვათ, ატლანტიკის პაქტის, ევროპის ამ საერთო დაცვის არმატურას, საფრანგეთის პარლამენტის უმრავლესობაში სათანადო გასავალი არ აქვს, მისი ორივე უკიდურესი ფრთა სხვადასხვა მოტივებით ამერიკის შეთაურობას არ ლებულობს; კომუნისტური პარტიის პოზიცია განმარტებას არ საჭიროებს. დევოლის პოზიცია კი გაუგებარია ყველა იმათთვის, კისთვისაც აშკარაა რომ დღევანდელ საშიშროების წინაშე საერთო ბრძოლიდან გამოითშვა—ეს ნიშანებს არამც თუ საერთო თავდაცვის საქმის შესუსტებას, კიდევ მეტი, აგრესორისათვის ხელის შეწყობას და მის დახმარებას.

ამის შემდეგ რა გასაკვირია, თუ ამერიკის საგარეო კომისიის თავმჯდომარე საჯაროთ აცხადებს: «თუ საფრანგეთი მაქსიმალურ ზომებს არ მიიღებს საკუთარ თავდაცვისათვის, მას არ შეუძლია ჩვენი დახმარების იმედი იქონიოს». ღ.

თუ მდგომარეობას ასეთი მიმართულება მიეცა, ლოლიკურათ ეს ჩვენ მიგვიყვანს პანტაგრონის (ამერიკის სამხედრო შტაბი) კონცეპციის გამარჯვებამდე. ამ უკანასკნელის მიხედვით სტრატეგიულ ხაზის ერთი თავი იქნება პირინეებ-ისპანია და მეორე—ოსმალეთი, ხმელთა შუა ზღვაზე გავლით და შიგ ჩართვით ჩრდილო ამერიკის, შორეული და ახლო აღმოსავლეთის.

ჩვენ ვხედავთ რომ ევროპა ამ ნაირათ რჩება და დანართ მიტოვებული. ცხადია გამარჯვების შემდეგ ის იქნება განთავისუფლებული, მაგრამ ეს იქნება, როგორც ხშირათ ლაპარაკობენ, მყვარ-ცოცხლის «განთავისუფლება».

ასეთია ჩვენის გაგებით ბუნება და სერთაშორისო მნიშვნელობა საფრანგეთის მთავრობის კრიზისიც, ცხადია, არ აადვილებს ამერიკის მიერ თავის თავზე ალებულ გიგანტიურ ამოცანას.

მიუხედავათ მდგომარეობის სიმწვევისა, იმედი არ უნდა დავკარგოთ, რომ სალი გონიერა და მშრალი ანგარიში უკარნახებს ამ დიდ ხალხს, როგორიც საფრანგეთია, იმ ერთადერთ გზაზე დადგომას, რომლის გარეშე დლევანდელი ცივილიზაციის სსნა არ არსებობს.

—

ამ საქეულონ საქმეებიდან ცოტა რამ შინაურობაზე. შეიძლება მყითხველისათვის გაუგებარიც დარჩეს, რომ საერთაშორისო მძიმე ამბების შემდეგ, წერილმანებზე მიზდება ლაპარაკი; მაგრამ როგორ გნებავთ გვერდი აუარო ისეთ ხალხს, რომელთაც შინაური ფრონტის გარღვევა და პირადი ანგარიშების გასწორება ხელობათ აქვს გადაქცეული.

ეს სტრიქონები ამ ჯურის «მოლვაწეებისათვის» არ იწერება: სიძულევილით დაბრმავებულთ გონიერ და მიუდგომელ კრიტიკას ევრ მოესთხოვთ; ჩვენ მივმართავთ თანამემამულეთა იმ წრეს, რომელთაც სიმართლე აინტერესებთ.

«ივერია». ს მესამე ნომერში გვემუქრებოდა «მასალების» გამოქვეყნებას. ამაზე ჩვენ თავის დროზე გავაფრთხილეთ, თავი არ შეეწუხებიათ, რადგან მათი 『მასალები』 არავისათვის, და თვით საფრანგეთის ადმინისტრაციისათვისაც კი არ იყო უცნობი. მიუხედავათ ამისა ეს 『მასალები』 『ივერია』 მ ფართეთ გამოაქვეყნა და ერთმა მისმა 『პორტ-პაროლმა』 საჯაროთაც გვაძლინ.

კითხვა ეხება იმ მოლაპარაკებას, რომელსაც ამ სტრიქონების ავტორი მისი მთავრობის დავალებით, შარია-თავაძეს-თან, 1945—46 წ.წ. აწარმოებდა; ნამდვილი პოლიშინელის სა-

იდუმლოებაა! მოლაპარაკებას ადგილი ჰქონდა აშკარათ; ამის კურსში თავიდანვე იყო არა მარტო ფართო ქართული წრე-ები, არამედ თვით საფრანგეთის საგარეო სამინისტრო და ერთი მისი პასუხისმგებელი პირი (მინისტრის კაბინეტის უფროსი \*) ერთ-ერთ შეხვედრასაც დაესწრო; ეს უკანასკნელი ამბავი სრულიად გასაგებია და ღიღ განმარტებასაც არ საჭიროებს თუ გავითვალისწინებთ საფრანგეთის ამ ეპოქის პოლიტიკურ გენს და იმ საერთო არმოსფერას, რომელიც მოსკოვის მოკავშირეთა გვერდით გამარჯვებამ შექმნა. გარკვეული იყო ამ მოლაპარაკების საგანი და ჩვენდამი მომართული წინადადება. ჩვენ მიერ წაყენებული წინასწარი პირობა მოსკოვისათვის მიუღებელი აღმოჩნდა და მოლაპარაკებაც ამით გათავდა.

უნდა ითქვას რომ მოლაპარაკების ლირსეულათ ჩატარებას ბევრათ ხელს უშლიდა უამრავ მოხალისეთა «ეიზიტიტები», «მენშევიკების» ჩაქოლვაზე ზრუნვა-მაცადინეობა და სხვა ამგვარი დაბალი ხარისხის მანიორები, რაც, სამწუხაროთ, ემიგრანტულ სინამდვილეთ გახდა.

ყოველ შემთხვევაში ამ მნიშვნელოვან (ქართული მაშტაბით) პოლიტიკურ აქციის, უკანა რიცხვით, ექვსი წლის შემდეგ, «პატარა აგენტურთან კავშირათ» გადახურდავება, მოწმობს მხოლოდ მისი ავტორის დაკანინებას.

ასეთივე ხარისხისაა «ქართული საქმე»-სთან ჩვენი დაკავშირების ცდა. ამ ორგანოსთან, არას დროს, არც პირდაპირი და არც არაპირდაპირი კავშირი, ჩვენ არა გვქონია. ამ ორგანოსთან ჩვენი დაკავშირება უბრალო პოლიციური «მასალაა» და მეტი არაფერი.

აიღოთ მეორე შემთხვევა, სადაც ჩვენ წინააღმდეგ წლების განმავლობაში წარმოებულ კამპანიის ზეობრივი მხარე სავსებით გადამლილია: ქართული განძეულობის სვე-ბედი.

ექვთიმე თაყაიშვილის, როგორც საქართველოს მუშეუმის თავმჯდომარის სახელობაზე და, ცხადია, მთავრობის დასტურით, ეს განძეულობა საქართველოდან იქნა წამოლებული. საბჭოთა ხელისუფლებამ ეს აქტი იქ ქართული სიმდიდრის გამოტაცებათ მონათლა. უცხოეთში ჩვენმა ოპოზიციამ ამას ასეთივე კავალიტიკაცია მისცა. ხშირათ გაიკონებდით ემიგრაციაში სენსაციულ ხედებს: მთავრობის დავალებით ვ-დუმბაძემ თამარ დედოფლის ქოში ნიუორკში გაყიდათ; დავით ალმაშენებლის სამეფო გვირგვინი ლონდონის ბაზარზე გასაღდათ; ამსტერდამში კიდევ რაღაც ამის მსგავსი...

სინამდვილეში კი განძეულობა საფრანგეთის სახელმწიფო ბანკში მინადრობდა და რამდენიმე წელს ის საქართველოს საკუთრებათ ითვლებოდა. შემდეგ მოგომარეობა დია-

\*) საბერინეროთ ეს პირი ცოცხალია და ღიღი თანამდებობაც უკავია.

მეტრალურათ შეიცვალა და საფრანგეთის მთავრობამ ის რუსეთის ვალის გასანალდებელ ქონებაში გადარიცხა. ამ დროიდან საქართველოს მთავრობას აღეკვეთა ყოველივე კავშირი ამ განძეულობასთან. მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს შექმნილი მდგომარეობის სიმძიმეს. ქონება დაიკარგა და საქართველოს მთავრობის მორალური და პოლიტიკური პასუხისმგებლობა კი დარჩა, რითაც გასავალი ეძლეოდა იმ არაკეთილსინდისიერ და დემაგოგიურ ხმებს, რომელიც ჩევნ ზევით აღვნიშნეთ.

ხანგრძლივი ძიების შემდე, 1937 წ. ეროვნულმა ცენტრმა რომლის წევრები იყვნენ სხვებთან ერთად ბ.ბ. ი. ზურაბიშვილი და გ. გვაჩავა, ნება დართო ექვთიმე თაყაიშვილს, შესულიყო ურთიერთობაში საქართველოს ყველა იმ ორგანოსთან, რომლის დახმარებით ეს განძეულობა საქართველოს დაუბრუნდებოდა"). თაყაიშვილმა რამდენჯერმე მიმართა საქართველოს სხვადასხვა ლოგანოებს, მაგრამ მისი ხმა დარჩა «ხმად მლალადებლისა უდაბნოსა შინა», ალბათ, იმიტომ რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მისთვის უფრო ხელსაყრელათ დაინახა საქართველოს ეროვნულ მთავრობაზე დაეტოვებია ისტორიის წინაშე გამტაცებლის როლი, ვინემ ეს განძეულობა ჩაეცარებია. მაგრამ ის რაც არ მოხერხდა ომამდე შესაძლებელი შეიქნა 1945 წლში. რუსეთ-საფრანგეთის ახალმა ურთიერთობამ ხელი შეუშუო ექვთიმე თაყაიშვილს, საბჭოთა ელჩის ჩარევით, და დევოლის მთავრობის სპეციალური დადგენილებით, განძეულობა უკლებლივ უკან დაებრუნებია და ის მან საქართველოში წაილო.

ლირს აღსანიშნავია ისიც, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა გამგზავრების წინ, საჯარო მოხსენება გააკეთა აქ მოთხოვბილ განძეულობის ეპოქების შესახებ. ამ მოხსენებას დაესწრო დიდალი საზოგადოება და მათ შორის «ივერიის» თითქმის ყველა ხელმძღვანელობა და არც ერთ მათგანს კრინტიცარ დაუძრავს!

აი ამ ქართული ტრალედიის ერთ-ერთ ეპიზოდს «ივერია»-ს კალმოსანი «პატარძალის გასტუმრებას და შეითქმის გაყოლებას» უწოდებს! როცა განძეულობა იკარგებოდა, კომუნისტებთან ერთად საქვეყნო ქონების გამფლანგველებათ და გამტაცებლათ გვაცხადებდნენ, ხოლო, როცა ეს განძეულობა დიდის ვაი-ვაგლახით ამოვებული იქნა და უკან დაბრუნდა — უკბილო ირონიით გვიმასპინძლდებიან...

მკითხველისათვის მიგვინდეთ მათი ასეთი მორალის დაფასება.

ეპ. შემმტკიცები.

\*) დადგენილების ოქმი ინახება საქართველოს ეროვნულ მთავრობის არქივებში.

ჩ 3 2 6 0 ღ რ თ ი ს ხ ა ტ კ ი 3 6 0 გ ბ ი .

5. საქართველოს მინისტრები.

მე მინდა ამ წერილში საერთო და საკაცობრივი დიდი საკითხების მაგისტრ ერთ შინაურ საკითხზე შექმნიდე. იგი განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნის,—და ჩვენსავე მდგომარეობაში მყოფ საბჭოთა კავშირში შემავალ ზოგიერთ სხვა არა-რუს ერების, «სატრივარს» შექმნება და ეროვნულათ განვითარების დამაბრკოლებულ გარემოებას წარმოადგენს. მე ვლაპარაკობ ჩვენი ქვეყნის დემოგრაფიის ანუ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის რიცხობრივი მდგომარეობის (სტატისტიკის) და ნაციონალური შემადგენლობის შესახებ.

როცა დიდი და ძლიერი სახელმწიფო ჰარარა და სუსტ ქვეყნებს იყყრობდნ, მათი სურვილი ის არის, რასაკვირველია, რომ ამ ქვეყნებით ისარგებლონ. ხოლო მეთოდი ამ სარგებლობის—დამორჩილებულ ერების და მათი ტერიტორიების გამოყენების—სხვადასხვა ნაირია.

ზოგს მიაქვს დამორჩილებულ ქვეყნებში კაპიტალი, ცოდნა და გამოცდილება და, ამუშავებს ჩა უმთავრესად აღილობრივ ხალხს, ლალათ სარგებლობს მათი ნამუშევარით. ასეთ შეთოდს ჩამორჩენილ ქვეყნებისთვის სარგებლობა მოაქვს: ესენი იძენენ ცოდნას, სარგებლობენ მეტროპოლიის კაპიტალს და გაუმჯობესებულ ტექნიკას, იზრდებიან ეკონომიკურათ, ეჩვევიან თვითმოქმედებას და, როცა მომენტი დება, მზად არიან დამოუკიდებლათ ცხოვრებისთვის. ამას მოწმობს ისტორია დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ზოგიერთ ყოფილ და ახლანდელ კოლონიების.

ბრიტანეთის ინდოეთში, მაგალითად, 318 მილიონზე მეტ მცხოვრებზე არა ინდოეთში დაბადებულთა რიცხვი მხოლოდ 603 ათას სულს შეადგენდა ანუ მთელი მოსახლეობის მხოლოდ 0,2 პროცენტს (1921 წ.); პოლანდიის ინდოეთში 49 მილიონ მცხოვრებზე სულ 169 ათასი ევროპიელი, ანუ 0,3 პროცენტი, მოდიოდა (1920 წ.); ბელგიის კონგოში 8.500 ათას მცხოვრებში ბელგიელების რიცხვი არ აღმატება 14—15 ათასს სულს ანუ 0,2 პროცენტს (1928 წ.); საფრანგეთის ინდოჩინეთში 20 მილიონ აღილობრივ მოსახლეობაზე სულ 26 ათასს, ანუ 0,1 პროცენტს, ევროპიელს ანგარიშობდენ.

განათლებულ ევროპიელებს არ ეშინიათ დამორჩილებულ ერების განვითარების, მათი ამუშავების და თვითმოქმედების. პირიქით, ისინი პოულობენ ამაში მეტ სარგებლობას, საერთო ხარჯების შემოკლებას და აღმინისტრაციის გამარტივებას. კოლონიების თავის მორჩილებაში და თავის

յաց՛նորմո յասահերքեծլատ ուսոնո սեցա նոմեծն մոմարտացըն, շմտացրեսագ յկռնոմոյշը եսուտուսաս, պայոլ կռլռնոյդիս յկռնոմոյշրատ դանուրեցեցաս մյուրանձունոստան մյութռու ուրտոյցրտռնամո դարհեցնոտ.

Տշլ սեցա პռլուրոյկա գութ, մացրամ համոռհեցնոլ, սաելու միուղոյեծուս, մցըլուս-մցըլ գրռութան նյեսալ դարհեցնոլո, պայ-ռու թռանքոյ, դամոռհիլոցնուլ յրեցուս ովոր նյեցոյիրոյեց-լու գա և նշուրագ յամանացոյնուլուը. ամատ յնոնուատ դամոռ-հիլոցնուլ յրեցուս յանցուտարեցուս գա ամուրում ամ յրեցուս ուցու- թռյեցըցաս կո ար աեալուսեցըն, արամեց մատու ունչուցնուատ դա սպալուրատ յարացարեցաս ուրուուրուն. դամուրունցունո այ աց- գոլութռուզ մյուրանցըտ ար ենքունուան, մատ սգցեցնուան տայուս սպայտար սամութռունու գա բալու-բալու ու էջուցնուատ, սեցալասեցա նուր մոմունչունցուտ, ուրեա ացցուլուցնու ասաելուցն; մատ յնուցնու կո յարեցը եսալքու մոսաց, շմտացրեսագ դամ- պարունցը յրուս մուգմա գա ոմուս մոմերու. ացցունութռուզ ես- լունու նշռա գա յացլունուս մոմարուցա մատ ամոնցն յանսայու- թռեցուու, ու յնուն ամուրունցը յրու ար համուցարունցուն յայլութռունուատ դա յկռնոմոյշրատ. ամուսուուս, յատուցա դամո- ռիլոցնուլ յրուս մուսաելունուս, մուս սեցա եսալքցնու նյերուց գա սեցեցուս մուս նյերու նյեմուցան—ասետու ամատու პռլուրոյկա գամոռհիլոցնուլ յրեցտան գամոյուցնուլ յրեցուս.

յարտցուու եսալքուս ուսւրուու յարցագ ուբռնուս ամ պռլու- րոյկաս. մցըլ գրռունու դամուրունցունու մաս սաելու արտմեցուն, հայուլս ուցուունցըն, ամուսուլմանցնունցըն; մուս սայուցուու նյու- լոցն յասարսեցունու գա ռսմալուցունու մոյրուցնունց ան անուս սեցա յնուցնու մունքնուատ յութունցն. սամուրունու հյուսետուս մո- յմեցունուս դամոռհիլոցնուլ յրուտ մոմարտ, սաելուգուն յայցա- սունու (ամատ հյուսետուուն եյլուցնուրուտ սրուլ դամուցունցը- լոցնու հայունցուս յարդա), աեսուտուցա շմտացրեսագ հյուս- տուուն եսալքուս այ յաժմուսաելունուս პռլուրոյկա. ույցուաց մյութ- ռուտ դասաելոցնուլ յնուցնու մաս հյուսուու ոյու հյունու մեարյ, եսալքու հյուսետուուն մոսացուատ դասասաելունուատ; յանսայութռ- եցնուլ դյեարուամենքու յյենքուատ ամուսուուս դաարսեցնուլու գա սեցա սեցա ոյու յուլցը հյուսուս հինուցնուցնուտ յանսանուր յնուցնու- նուս այսեցա գա ամ հինուցնուցնուտ ուտուս յանսայութռեցնուլ նյուզու- լոցնուցուս մոնունչուս, ու այ նյամուցուունցըն; նյուլուս, յցլուսու- ս, ացցունութռուզ ուցուտմարտցուլունուտ հյուսուցույացուա—յուց- լուզը յս ացրուցը ծլումատ ունուցա յարեցը եսալքուս հյունու. ասետու յնուու, սեցատա նյուրուս, ուրուութա հյուսետու յանսանուր յնուցնուս, յըրմուտ յայցասուս, նյենարհինուցնուս: մատու յար ու- ս յ ծ ո ւ!

մացրամ յրուու սայունուս նյեմուց ասետու պռլուրոյկաս ունցըն- նուրուատ նյամուցնուս, հյուսետու ու մուլիւս ոմանչու մինչեւ նյերու, հում սայարտցուուս մուսաելունու հյուսեցու նյամուցնուցնուս:

მთელი მოსახლეობის 5,3 პროცენტს და ამიერ-კავკასიაში საერთოდ 4,4 პროცენტს (აღწერილობა 1897 წლისა).

ეს უკვე ძალიან დიდი პროცენტია ზემოთ მოყვანილ ეკრობის კოლონიებთან შედარებით; ხოლო იმასთან შედარებით, რის სურათს ჩვენ ახლა ვხედავთ საქართველოში და აზერბაიჯანში—თუმცა ეს ქვეყნები რუსეთის კოლონიებს კი არ წარმოადგენს, არამედ მათი «მოკავშირი» რესპუბლიკებია—ეს პროცენტი მაინც მცირება. საბჭოთა კავშირმა 17 წლის განმავლობაში მისი ბატონობისა ჩვენში (1922—1939) მიაღწია ამ მხრივ ორჯერ მეტს, ვინემ თვითმპყრობელობის რუსეთმა ერთი საუკუნის განმავლობაში.

საქართველოს ახლანდელი დემოგრაფია ანუ გაცნობა საქართველოს ახლანდელ მოსახლეობის სტატისტიკისა, ძალიან დამატებულებელია; იგი, შეიძლება, უფრო, ვინემ სხვა რომელიმე გარემოება, ახასიათებდეს საბჭოთა კავშირის ნაციონალურ პოლიტიკას არა-რეს ერგების მიმართ.

ოფიციალურ აღწერილობათა მიხედვით, საქართველოს მთელი მოსახლეობა უდრიდა: 1926 წელს—2.666 ათას სულს; 1939 წელს—3.542 ათასს. ეს იგი: 13 წლის განმავლობაში მოსახლეობას უმატნია ჩვენში სულ 32,8 პროცენტი, რაც წარმოადგენს წლიურ მომატებას დაახლოებით 2,5 პროცენტს.

ამავე დროს თვით ქართველების რიცხვი ყოფილა ჩვენში: 1926 წელს—1.788 ათასი სული, ხოლო 1939 წელს—2.174 ათასი სული. ეს იგი: 13 წლის განმავლობაში ქართველთა რიცხვი მომატებულია 21,6 პროცენტი, ანუ წლიურათ დაახლოებით 1,7 პროცენტი.

თუ ქართველების წლიურათ მომატების 1,7 პროცენტი ნორმალურია, 2,5 პროცენტი მთელი მოსახლეობის წლიურათ მომატების ნორმალურზე უფრო მაღალ პროცენტს წარმოადგენს. ეს მიეწერება უმთავრესად საქართველოში გარედან შემოსულ ხალხს.

ვინ არის ეს ხალხი, ტომით არაქართველი, საქართველოს გარედან რომ ემატება? ამას დაგვანახებს ჩვენ შემდეგი ცხრილი საქართველოს მოსახლეობის მოძრაობისა უკანასკნელ 42 წლის განმავლობაში (ოფიციალურ აღწერილობის მიხედვით):

საქართველოს მთელი მოსახლეობა შეადგენდა ეროვნების მიხედვით (პროცენტებში):

	1897 წ.	1922-23 წ.	1926 წ.	1939 წ.
ქართველი . . .	68,5	71,5	67,2	61,4
სომები . . .	9,3	10,8	11,5	11,7
თურქი-აზერი .	5,7	3,2	5,2	5,3
რუსი . . . .	5,3	3,4	3,6	8,7
ოსი . . . .	3,7	4,0	4,2	4,2
დანარჩენი . .	7,5	7,1	8,3	8,7

ეს ცხრილი გვიჩვენებს, რომ:

ა) უდიდესი ადგილი საქართველოს მთელ მოსახლეობაში ქართველებს 1922—3 წელს ეჭირა, ე. ი. დამოუკითხებლობის მიმყოლ ხანაში, სახელობ 71,5 პროცენტი. შემდეგ ქართველების ხევტრითი წონა საქართველოს მთელ მოსახლეობაში კლებულობს: 1926 წელს იგი უდრიდა 67,2 პროცენტს, 1939 წელს — 61,4 პროცენტს. ასე რომ, 17 წლის განმავლობაში (1922—1939) იგი შემოკლებულია 10,1 პროცენტით. არასოდეს წინაც ქართველების პროცენტი საქართველოს მთელ მოსახლეობაში ასე მცირე არ ყოფილა და არის ნიშნები, რომ მეორე დიდი ომის შემდეგ ეს პროცენტი კიდევ უფრო შემცირდებოდა.

ბ) ამავე დროს დაუშერიათ ჩვენში მეტი ადგილი, გინემ ეჭირათ წინად (1922—1939):

სომხებს	. . .	0,9	პროცენტით
თურქ-აზერებს	. 2,1	" "	)
რუსებს	. . .	5,3	"
ოსებს	. . .	0,2	"
დანარჩენი ერთად	1,6	"	

უზრადლებას იქცევს ის გარემოება, რომ რუსებს არასოდეს სცერიათ საქართველოს მოსახლეობაში ისეთი დიდი ადგილი (8,7 პროც.), როგორიც უჭირავთ ახლა: ყოველ თერთმეტ მცხოვრებზე საზოგადოოთ, და ყოველ შვიდ ქართველზე კერძოთ, საქართველოში ერთი რუსი მოდის. დანარჩენ ერთვნებათ წარმომადგენლების ხევტრითი წონის ზრდა გაცილებით უფრო უმნიშვნელოა; მაგრამ, ასე თუ ისე, მაინც ყველას მოუშატნია და ერთად-ერთ ქართველებს ახლა უფრო ნაკლები ადგილი უჭირავთ თავის ქვეყანაში, ვინემ ღდესმე, პროცენტულათ.

გ) 1922—1923 წ. რუსის მოსახლეობას ეჭირა ჩვენში 3,4 პროც. და იგი შეითხე ადგილზე იდგა (ქართველები, სომხები, ოსები, რუსები); აზერბაიჯ. თურქებს ეჭირა თითქმის იგივე ადგილი, რაც რუსებს. 1939 წლის ალწერილობის თანახმად რუსებას მესამე ადგილი უჭირავს (ქართველები, სომხები, რუსები).

რუსის მოსახლეობის რიცხვი მატულობს აგრედვე ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებში: 1939 წ. ისინი წარმოადგენენ მთელი მოსახლეობის 4,4 პროცენტს სომხეთში და 16,0 პროც. დაახლოებით აზერბაიჯანში.

საერთოდ ანგარიშობენ მკვიდრ მოსახლეობას (1939 წ.): აზერბაიჯანში (აზერბ.-თურქებს) 60,0 პროცენტს (დაახლოე-

\*) აზერბაიჯ. თურქების რიცხვი 1922—3 წ. დაცემული იყო შემთხვევით; შემდეგ იმათ მოიმატეს, მაგრამ მათი ხევტრითი წონა მაინც უფრო ნაკლებია ახლა, ვინემ იყო 1897 წ. (5,7 პროც.).

ბით); სომხეთში (სომხებს) 82,8 პროც. და საქართველოში (ქართველებს) 61,7 პროც. სომხეთის რესპუბლიკა იმყოფება ამ მხრივ თავის მეზობლებზე უკეთეს მდგომარეობაში.

მოსახლეობის საერთო რიცხვი უფრიდა (ათასობით):

	1926 წ.	1939 წ.	მომატება
აზერბაიჯანში	2.313,7	3.209,7	38,7 პროცენტი
სომხეთში	876,6	1.281,6	46,2 ..
საქართველოში	2.666,0	3.542,3	32,8 ..

ყველაზე უფრო ნაკლები ამ უკანასკნელ წლების განმავლობაში, პროპორციულათ ჩემ მეზობლებთან შედარებით, მოუმატინა საქართველოს მოსახლეობას. ამის მიხედვით შეცვლილია ის პროპორციაც, ქართველებს რომ ეჭირა ამიერ-კავკასიის მთელ მოსახლეობაში. სახელმობადი, ამიერ-კავკასიის მთელ მოსახლეობაში წარმოადგენდენ (პროცენტებში):

	1897 წელს	1926 წელს	1939 წელს
ქართველები	29,3	30,7	27,2
სომხები	21,9	22,7	22,5
აზერბ.-თურქი	31,1	28,5	23,9
რუსი	4,4	5,7	10,8
დანარჩენი ერთად	13,3	12,4	15,6

ამნაირად, შეცვლილია ხევდრითი წონა სხვადასხვა ერთ-ვენებათა ამიერ-კავკასიის მთელ მოსახლეობაში. მართალია, ქართველები ახლაც შედარებითი უმრავლესობას წარმოადგენენ, მაგრამ მათ დაუკარგავთ ის აღიილი, წინად რომ ეჭირათ: ისინა წარმოადგენენ ახლა 27,2 პროცენტს 29,3 პროცენტის მაგიერ 1897 წ. და 30,7 პროც. მაგიერ 1926 წელში. კიდევ უფრო უარესია მდგომარეობა აზერბაიჯანების: მათ უჭირავთ ახლა 23,9 პროცენტი მაგიერ 31,1 პროცენტისა 1897 წ. სომხების მდგომარეობა სტაბილურია, გაუმჯობესების ტენდენციით: 1939 წელს—22,5 პროცენტი, 1897 წელს—21,9 პროცენტი \*).

სამაგიეროთ, ძალიან გაზრდილია რუსების ხევდრითი წონა: 1897 წელს ისინა წარმოადგენდენ ამიერ-კავკასიის მოსახლეობის 4,4 პროცენტს, 1939 წ.—10,8 პროც. მათი ხევდრითი წონა მეტია, ვინემ გაორებული.

ასე, რუსების ამიერ-კავკასიაში ჩამოსახლებით ხდება რუსითვისაცია ამ ქვეყნის—განსაკუთრებით აზერბაიჯანის და

\* ) უკანასკნელ აღწერილობის შემდეგ სომხის მოსახლეობის ხევდრითი წონა ამიერ-კავკასიაში კიდევ უფრო გაიზარდა არაჩემულებრივი წესით: «საბჭოთა დიდი ენციკლოპედიის» ცნობით 1948 წელს სომხეთში გადმოსახლდა უცხოთიდან 100 ათასი სომხი.

შემდეგ საქართველოსი—უფრო სწრაფის ნაბიჯით, ვინემ ეს ხდებოდა თეოთმპყრობელობის დროს. ამასთან ერთად ალა-ნიშნავია ის გარემოება, რომ ძველათ „გარუსების პოლიტიკა“ უმთავრესად საზოგადოების მაღალ ფენებში მოქმედებდა, ახლა კი იგი შეჭრილია ხალხის ფართო წრეებში და მათი საქმიანობის სფეროში. ამას გვეუბნება ჩვენ შემდეგი გარე-მოება:

პეტ კიდევ 1934 წლის 1 აგვისტოს, ოციციალურ ცნობე-ბის მიხედვით, ამიერ-კავკასიის მკვიდრ მოსახლეობას ეჭირა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში ადგილი (პროცენ-ტებში):

	მრაველებს— საქ—ში	21,6	33,0	42,5
სომხებს— სომხეთში	89,0	85,7	84,2	93,9
აზერ.-თურქებს— აზერ.	21,8	13,0	20,5	32,2

(იხ. ასოციალისტიკები სტრონტულსტულ ს.ს.ს.რ.», 1936).

ასე, ადგილობრივ მცხოვრებთ ამიერ-კავკასიის სიხალხო მეურნეობაში კაი ხანია ალარ უკირავთ ის ადგილი, მათ რომ შეეფერება თავის ქვეყანაში, თუნდაც მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით. ქართველებს, მაგალითად, საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში უკირავთ არა უმეტეს 21—51 პროცენტისა, თუმცა ქართველები მთელი მოსახლეობის 81,7 პროცენტის მაინც წარმარტვენ. მდგომარეობა ამ მხრივ აზერბაიჯანში უარესია; ხოლო სომხები ამ მხრივაც უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან: მათ თავისი ეროვნული პოზიციები შეუნარჩუნებიათ თავის ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

აი რა უმშადებს საფრთხეს საქართველოს ეროვნულ განვითარებას მომავალში: ჩვენში მატულობს და საზოგადოებრივი ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგში თვალსაჩინო პოზიციებს იქნებას არა-ქართველი მოსახლეობა, განსაკუთრებით რუსება. სახალხო მეურნეობის უმთავრეს დარგების გამგებლობა მოყვაბირე რესპუბლიკებში უფლებრივათ—საპროთა კონსტიტუციის მუხლი მე-14—ხომ ცენტრალურ მთავრობას ეკუთვნის; ამას ახლა ემატება ის ფაქტური მდგომარეობაც, რომ სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში მომუშავეთა უმრავლესობა არა-ქართველები არიან. ეს არა-ქართველი მუშები და მოხველეები რჩებიან ჩვენში და საქართველოს მოსახლეობას, უფრო მჭიდროთდასახლებულს, ვინემ რუსეთია დასახლებული, რუსეთიდან მოსული ხალხით უფროდაუფრო ამჟიდობებინ.

შეიძლება ეს შედეგია ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, რომლით ბოლშევიკები ძალიან ამაყობენ? ამ შემთხვევა-

Ցո շնչա օտքաս, հռմ ց և «ոճալութիւնապրա» մալուն ցը-  
հատ շջայեծ հայեն ხալքի, հաջան ամ ոճալութիւնուս արլու գան-  
կարգալույթա դա մոցայի (ց շամբան տիւնուս մալուն) դա արլու  
սամշան յուրա ոճալու նախունու (ցայտութիւնատ Շեյմնուն մո-  
ցամարդունու) մաս ար հիյեծ; ամաց գրանցու մուս մոսակլունաս  
ցմարդա ցարեթան համսակլութուն ხալքի, հռմելու պ սայար-  
տցալու կալութիւնատ ցամունցունու, մուս ցրունունատ  
ցանցութարեծուն, մուս հուսետութան ցամունցուն դա գամունցուն-  
թատ արսեծունու մոմեթու, հասայցունունու, արասուց ոյ-  
նեծա.

Շեյմնուն մոցամարդունաս շյաց սարցեծունուն հուսուն նոցու  
պատրուութեծ ցմոցրապունու. ուսուն սայութես պայցենցի: «Ի ա-  
շուլույթա յէցտ արա-հրց ցրեծ մուտեազոն հուսետութան ցամո-  
ցացա, հռուա մատ ցրունութ հուսեծութեց մուրուտագ մոսակ-  
լունունու քրուցենու սրուլույթու ար ալյամարդա ոմ քրուցենու,  
հասաց հուսունա վահմաւացն ցողուն ունեցունու լուրութունու-  
անցու. արա-հրց հուսեծութեց ասետ կալուցունու շյաց  
Շեյցաց սայարտցալու (օհ. զ. նոյունունու վարունու «ըստսունու-  
կո գյուրամ» № 1, 1951). մագլունա լուրութ, մոցամարդա  
յէրշայրունուտ ասետու մասն ար արուն հայենու, մացրամ Շեյցա-  
մունցունու կու, ու հուսեծունու սայարտցալու ցամունցունու ան-  
լունուն ուրմուտ ցարմակցալու, յարտցալու մոսակլունա տացու  
յշացանունու սուլ մալու 50 քրուցենուն յշացուն համունցու «)...

ծ. ծ.

Գյույներու 1951 թ.

\*) հռուա սայարտցալու «մյունթը» անշ «անունութագ» մոսա-  
կլունաս անցահունունու, յարտցալունու հուպեց շնչա ցմարդ-  
թունու հուպեց այթանցունու դա յարտցալու ցծրայլունու, հռմելու-  
տաց սեցա սամնունուն ար յէցտ, ցարդա սայարտցալունու, դասա-  
ծամունանց սայարտցալունու ցրունունուն մուս կալութիւնունու մո-  
նչունունու դա մուս փունունու դա լուսունուն մոնախունունու. ամուս մուս յանցու-  
ցուն, սայարտցալու «մյունթը» անշ «անունութագ» մոսակլունա  
1926 վարունունուտ արուն 70,4 քրուցենուն մուլուն մոսա-  
կլունունու դա արա 67,2 քրուցենուն.

Սահելուն:

յարտցալունու	67,2	քրուցենուն
այթանցունու	2,1	"
յարտցալու ցծրայլունու	1,1	"
<hr/>		
սուլ	70,4	"

ა ი ნ დ ი ლ ა მ ა ს ლ ა.

1918 წელს ქართველ ერმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და შინაური მდგომარეობის განძტკიცებას შეუდგა. მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო, რომ საქართველოს ფაქტური დამოუკიდებლობა ეკროპის და ამერიკის ქვეყნებს ოფიციალურად ეცნოთ.

სანამ ჯერ კიდევ საქართველოს მთავრობა ვერსალის კონფერენციაზე ქართულ დელეგაციას (კ. ჩხეიძის თაოსნობით) გამოგზავნიდა 1919 წლის თებერვალში ევროპის მიერ საქართველოს იურიდიულად ცნობის მიზნით, ქართველ ს.-დემოკრატიულ პარტიის კიდევ რამოდენიმე თვით ამის წინ თავისი სპეციალური დელეგაცია ყავდა წარმოგზავნილი ევროპაში სოციალისტურ პარტიიგთან დასაკავშირებლათ და მათ წრებში ქართული საკითხისადმი თანაგრძობის მოსაპოებლათ.

და მართლაც, არ დარჩენილა ევროპის არც ერთი სოციალისტური პარტია, თუ მისი გამოჩენილი ხელმძღვანელი, რომელთათვის ქართველ სოც.-დემოკრატებს არ მიერათათ საქართველოს ოფიციალური ცნობის მხარის დასაჭრად. დაბოლოს ამ მუშაობის შედეგი იყო ის, რომ 1920 წელს სოცინტერნაციონალმა ემილ ვანდერველდეს თავმჯდომარეობით გამოგზავნა დელეგაცია, რომელიც უნდა გაცნობოდა საქართველოს შინაურ მდგომარეობას. უკან დაბრუნებისას ამ დელეგაციის ცნობილ და გამოჩენილ წევრებმა ევროპის ზოგ ქვეყნების მთავრობებში მოხსენებებით და ქართული საკითხის გარკვევით დიდად შეუწყვეს ხელი ამ მთავრობების მიერ ჩვენი ქვეყნის იურიდიულად ცნობას.

საქართველო იურიდიულად საბჭოთა რუსეთმაც იცნო. მაგრამ მიუხედავათ ამისა, შეიღი თვის შემდეგ ამ ცნობისა ის საქართველოს წითელი ჯარებით შემოესია და მას ოკუპაცია მოუხსონა. ქართველ ერის და ამ ოკუპაციტებთა შორის გაჩაღდა სამკედრო-სასიცოცხლო ომი, რომელიც დაემდებრედება.

აქ, სახლვარ-გარეთ, 1921 წლიდან საქართველოდან გამოხიზულ ეროვნულ მთავრობის გვერდით და მის დასახმარებლად, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენის მიზნით, დიდ ბრძოლას და მუშაობას აწარმოებდა და აწარმოებს საქართველოს სოც.-დემოკრატია ევროპის სოციალისტურ წრებებში.

ევროპაში არ ყოფილა არც ერთი სოციალისტური პარტია, თუ მისი საპარლამენტო ფრაქცია, არ დაგვიტოვებია არც ერთი ქვეყნის მუშათა პროფესიონალური კავშირი, სადაც ქართველი სოციალ-დემოკრატები არ მისულიყვნენ და ამათი ცდით ამ ორგანიზაციებს საქართველოს ტერიტორიიდან წითელი ჯარების გაყვანა არ მოეთხოვოს. ასეთივე ხასიათის რეზოლუციები არა ერთხელ გამოუტანია აგრეთვე სო-

ციალისტურ ინტერნაციონალს, რომელიც საქართველოს ჩაგრულ ერთა სიმბოლოთ აცხადებდა.

ინტერნაციონალში ერთპის სოციალისტებთან ერთად ქართულ საკითხს ყოველივე დაის გარეშე მარს უჭერდენ რუსი სოციალ-დემოკრატები და სოციალისტები და მოუკიდებლობის აღდენას სხვებთან ერთად მოითხოვდნ. რუსი სოციალისტების ჩენი საკითხისადმი ასეთი დადგებით განწყობილებას უთუოდ დიდი გავლენა ჰქონდა ინტერნაციონალის წრეებზე და ასეთი რამ ჩენ აქაურ მუშაობას მეტად უწყობდა ჩელს. მაგრამ, სამწუხაროდ, რუსი სოციალისტების ჩენიდამი ასეთი კარგი დამოკიდებულება გაგრძელდა მხოლოდ 5—6 წელიწადი. შემდეგ იმათ პოზიცია იცვალეს და ჩენ წინააღმდეგ ამხედრდენ. ისინ ქართველ სოციალ დემოკრატიას აბრალებდენ რუსეთის წინააღმდეგ მმის და იქ უცხო ძალების ინტერვენციის მომხრეობა. გვსახავდენ აგრეთვე რუსის ხალხის და დემოკრატიის მტრათ.

რუს და ქართველ სოციალ-დემოკრატებთა შორის ეს დავა გადატანილ იქნა თვით სოციალისტურ ინტერნაციონალში, სადაც ამის შესახებ დიდ კამათს ჰქონდა აღვილი ბერლინის კონფერენციაზე 1930 წელს.

ჩენითვის არ იყო ძნელი საქმე უკუგვეგდო ბრალდება, ვითომც, ჩენ მომხრენი ვიყავით, ან შეგვეძლო რუსეთის საწინააღმდეგო მმის გამოწვევეა, თუ ამ მმში ვინმესი ჩარევა.

ინტერნაციონალში ჩენ საჯვეყოდ და საჯაროდ ვაცხადებით, რომ რუსეთის ხალხის და მმის დემოკრატიისადმი მტრული განწყობილება ჩენი მიზანი არ იყო. პირიქით, ვამბობდით ჩენ: პატარა ერის გვერდით მტრულად განწყობილი დიდი ერის ყოფნა მეტად დიდ საფრთხეს წარმოადგენს თვით პატირა ერისათვის. სწორედ ამ უკანასკნელის მომავლის უზრუნველსაყოფად აუცილებელია იყოს ის მეზობელ დიდ ერთან კარგ ურთიერთ დამოკიდებულებაში. ამიტომ ჩენ, ქართველებს გვსურს ვიყოთ კარგ განწყობილებაში რუსეთის დემოკრატიისათვის, მასთან ერთად ვაწარმოოთ საერთო ბრძოლა კომუნისტური რევიმის წინააღმდეგ, რომელსაც დამონავებული ყავს საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ სხვა ერებთან ერთად თვით რუსის ერიც. ხოლო ამავე დროს ჩენ კართველულად მოვითხოვდით, რომ რუსეთის დემოკრატიის უნდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და აღვარებინა ყველა სხვა ერებისათვისაც თვითგამორკვევის განუსაზღვრელი უფლება. ასეთი იყო ქართველი სოც.-დემოკრატიის პოზიცია სოციალისტურ ინტერნაციონალში.

1930 წელს ინტერნაციონალმა ბერლინის კონფერენციაზე იცნო საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ყველა ერების თვითგამორკვევის განუსაზღვრელი უფლება და ერთხმად მიიღო შესაფერისი დადგენილება. სამწუხაროდ, იმ დროს ასეთი და-

დგენილება არ გაიშიარეს არა თუ რუს დემოკრატებმა, არა-  
 მედ ამ დადგენილებას ხმა არ მისცა ინტერნაციონალში არც  
 რუსი სოც.-დემოკრატების წარმომადგენელმა.

ქართველებს და რუსებს შორის ცუდი ურთიერთობა დი-  
 დი ხნით გრძელდებოდა. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ბევრ  
 საინტერესო მოვლენებს და ამბებს ქონდა აღიილი. ზოგ ამ  
 ამბებმა ბევრნი გააცნობიყრა და გონს მოიყვანა. დაბოლოს,  
 როგორც ეეროპიელნი და ამერიკელნი, ისე რუსებიც თანდა-  
 თან იკურნებოდნ ილუზიიდან, ვითომც ბოლშევკური რუ-  
 სეთი ნელნელა დემოკრატიულ სამეფოში თავს ამოყოფდა.  
 ეს მათი ილუზია სავსებით ჰქონდა ეხლა, როცა საბჭოთა ჯა-  
 რები შუაგულ ეეროპაში შემოიჩრა, მთელი რიგი ქვეყნებისა  
 და იმორჩილა და მთელ მსოფლიოს წალენებით ემუქრება.

ეეროპა დემოკრატიული ამერიკის თაოსნობით და ხელ-  
 მძღვანელობით თავდაცეს მიზნით იარაღ ისხამს და სასწა-  
 ფოდ ემზადება. ამერიკა სამხედრო მშადების გარდა დიდ მუ-  
 შაობას აწარმოებს, რათა ანტიკომუნისტური პროპაგანდა  
 თვით საბჭოთა რუსეთში გადაიტანს და რადიოს, თუ სხვა  
 საშუალებებით ამცნოს იქ დამონავებულ ყველა ერებს მთე-  
 ლი სიმართლე და კერძარიტება, რასაც მოსკოვის დიქტატუ-  
 რა მათ უმალავს. და ასეთი პროპაგანდის და საერთო მუშაო-  
 ბისათვის ამერიკული აფიციალური და აზაოტიციალური  
 წრეები მოუწოდებენ, როგორც რუსულ, ისე საბჭოთა კავში-  
 რის სხვა ერთა ემიგრანტულ და დემოკრატიულ დაჯგუფ-  
 ბებს კომუნისტური რეეიმის სამხილეელად.

რუსი დემოკრატიისამი დამოკიდებულების საქითხში  
 ქართველ სოც.-დემოკრატიის პოზიცია დღესაც ისეთია, რე-  
 გორც ეს იყო წარმოდგენილი და განმარტებული ბერლინის  
 ინტერნაციონალის კონფერენციაზე 1930 წელს.

ჩვენ რუსის ერთან გვინდა კეთილ მეზობლური განწყობი-  
 ლება, ჩვენ მშად ვართ კომუნისტურ რეეიმის საწინააღმდეგო  
 ბრძოლა. შეთანხმებულად ვაწარმოვოთ რუსულ დემოკრა-  
 ტიულ დაჯგუფებებთან. ხოლო ამ დაჯგუფებებმა თავიანთ  
 მხრივუნდა იცხოს საქართველოს დამოუკიდებლობა და აღია  
 რონ სხვა ერთა თვითგამორკევევის განუსახლერელი უფლებაც.

მეტად მნიშვნელოვანი და საყურადღებოა, რომ ამ მხრივ  
 ზოგ რუსულ დემოკრატიულ დაჯგუფებებში ხდება დღეს  
 თვალსაჩინო ფსიქოლოგიური გადატეხა წინანდელ თან შედა-  
 რებით და ჩვენი პოლიტიკური და ეროვნული მოვალეობაა  
 ამ ფსიქოლოგიური გარდატეხის გაძლიერებას და გაღმავე-  
 ბას ჩვენთა და სხვა ერების სასარგებლოთ ხელი შევუწოთ.  
 თუ ჩვენი და სხვა ერთა მოთხოვნილებები არ იქნება მიღებუ-  
 ლი რუსის დემოკრატიულ ორგანიზაციების მიერ. ამ შემ-  
 თხევევაში ჩვენ მათთან რაიმე საქმიან დამოკიდებულებაში  
 ვეღარ შევალთ.

ის აზრი, ვითომც, რუსების მიერ ქართველი ერის სუვე-

რენობის ცნობას არ ჰქონდეს მნიშვნელობა მოკლებულია სერიოზულ საფუძველს.

დღეს არავის შეუძლია დაბეჯითებით სთქვას, თუ როგორი წყობილება დამყარდება რუსეთში ბოლშევკური რეეიმის დაცემის შემდეგ. არავის შეუძლია, მაგალითად, დამტკიცოს, რომ ეს წყობილება უთუოდ იქნება დემოკრატიული. 35 წლის განმავლობაში ტორალიტარული რეეიმის არსებობა, ამის გამო თავისებური და განსაკუთრებული ფხიჭოლოგიის მქონე ახალ თაობათა წარმოშობა, შესაძლებლობა სამხედრო გადატრიალებისა და სხვა არ შეიძლება არ შეიქნეს მიზეზი არადემოკრატიული წესწყობილების დამყარებისა რუსეთში. არც იმ მდგომარეობის ყოველივე მხრივ სისწორით გარკვევა შევიძლია, როგორიც შეიქმნება სხვადასხვა ეროვნულ რესპუბლიკებში ბოლშევიზმის დაცემის შეორების დღეს. აი ასეთ გაურკვეველ პირობებშიდაც ჩავარდნა უნდა ივარაუდოს პილიტიკურ და ეროვნულმა მოღვაწემ და სხვადასხვა შესაძლებლობას აქედანვე დიდი ანგარიში გაუწიოს.

თუკი მოსახურებელია ანტიკომუნისტურ ბრძოლაში რუსულ დემოკრატიულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით მუშაობა და ამავე დროს მათ მიერ, როგორც ქართველი ერის დამოუკიდებლობის და სუვერენიტეტის ცნობა, ისე ყველა სხვა ერების თვითგამორკვევის განუსახლვრელი უფლების აღიარება, ასეთ რამეს არა თუ გვერდი უნდა ავუხვიოთ, არამედ ამის განხორციელებას ხელი უნდა შევუწიოთ. ამ მიმართულებით მომხდარ ფაქტს ექნება უდიდესი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ რუსების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა საპროცეგან დოთ გადაეცემა საბჭოთა კავშირში მომწყვდეულ ყველა ერებს, გარდა იმისა, რომ ამ ფაქტის შესაფერისად გამოყენება უცხოეთშიდაც შეგვეძლება.

ეროვნული პრობლემა უნდა იქნას დასმული და გარკვეული ჩვენ მიერ აქედანვე. მასზე და მის შესახებ უნდა იაზროვნონ და ითიქრონ ყველამ იქ, ტირანის სამეფოში. ხოლო ეს საფიქრებელი და საახროვნო მასალა და თემა უნდა მივაწოდოთ მათ ჩვენც ჩვენი მხრივ უცხოეთიდან.

ანტიკომუნისტურ ბრძოლა არ უნდა უარყოფდეს, არც ჩრდილავდეს ეროვნულ ბრძოლას. არ არის მართალი, ვითომეც ანტიკომუნისტური ბრძოლა ყოველთვის ეროვნული ბრძოლაც იყოს. კომუნისტური რეეიმი შეიძლება დაეცეს, ხოლო ერები კი არ განთავისუფლდენ. ამიტომ დამონებულ ერთა წარმომადგენლების მოვალეობაა ეროვნული პრობლემა ერთ წუთსაც მათი მხედველობითაც არ გაუშვან და მათი ქვეყნების ეროვნულად და პოლიტიკურად განთავისუფლებისათვის ეროვნული და ანტიკომუნისტური ბრძოლა ერთდაიმავე დროს აწარმოვონ და ერთდაიმავე ღონებები დააყენონ.

პ. გვარჯალაძე.

## ს ა დ ღ ე ი ს თ...

ოცდაათ წელზე მეტია, რაც საბჭოთა რუსეთშა ჩვენი ქვეყანა დაიპყრო, მოსპო მისი დემოკრატიული რეჟიმი, დაამყარა ჩეკას დიქტატურა, ააოხრა სოფელი და ქალაქი, გაძარცვა ქვეყანა, ციხე-ციმბირი ქართველი ხალხით გაავსო, მისი მეთაურები სახდაფებში ჩაპელა, ჩამოხსნა 26 მაისის წმინდა დროშა და მის ნაცვლათ მონობის და ბარბაროსობის დროშა აპეკიდა.

მგრამ დგება დრო განკითხვისა: საბჭოთა პრობლემა დღის წესრიგშია, ის მორიგ და აუცილებლათ გადასაკრელ ამოცანათ იქცა: მისი მოშლა, მისი ლიკვიდაცია მოწინავე კაცობრობის საზრუნავი გახდა: ევროპის და შეერთებული შტატების მთევრი ყურადღება ამ კამად ამ დიდი პრობლემისაკენ არის მიპყრობილი. დაწყებულია უდიდესი მოძრაობა, რომელიც მიიმართება იქით, სადაც ჩვენი ქვეყნის თავისუფლება და მომავლის იმედებია. ჩვენი და ამ მოძრაობის მიზანი ერთმანეთს ხვდებიან, მისი ბრძოლის გზა—ჩვენი ბრძოლის გზაა. კველა მის ნაბიჯება ამ გზაზე—ჩვენს მიზანს ემსახურება, რადგან საზღვარს უდებს დესპოტის ექსპანსიას, ძირს უთხრის მის ბატონობას, ამზადებს მის ლიკვიდაციას. აქ ფრიალებს დროშა ადამიანის და ერის თავისუფლების, დროშა დემოკრატიის და, ბუნებრივია, ჩვენი ადგილიც სწორეთ აქ არის.

აქედან გამომდინარე ჩვენი ვალია—ამ ძალებთან მჭიდრო კავშირი და შეთანხმებული მუშაობა. პირველ ყოვლისა კი საბჭოთა ფარგლებში მოქცეულ ერთა დემოკრატიულ ძალებთან და მათ შორის თვით რუსის ემიგრაციის იმ ნაწილთან, რომელიც უდაოთ სცნობს, როგორც ქართველი ერის უფლებას, ისე სხვა ერებთა თვითგამორკვევას.

ასეთ ძალებთან ხომ ჩვენ მუდამ ვიყავით, მუდამ ვეძებდით მათთან კავშირს და მით უმეტეს უნდა ვეძიოთ დღეს, როცა კომუნისტური რეჟიმის ისტორიული განაჩენი უკვე დაწერილია, ხანა მისი ბატონობის უკვე მიწურულშია და მისი ლიკვიდაცია არც ისე შორსაა.

მძიმე იქნება ეს პროცესი; სისხლიანი რეჟიმის ლიკვიდაცია შეტაც ძნელი და მტკიცნეული იქნება, ამიტომ მეტი სიფხიზლე, მეტი გამჭრიახობა, მეტი ენერგია და წინდახედულება.

ამ გიგანტურ ბრძოლაში, რომლის მიზეზი და გამომწვევი თვით საბჭოთა რუსეთია—გამარჯვება, უეჭველათ, დემოკრატიას დარჩება, რასაც მოყვება საბჭოთა საპყრობილები მომწყვდეულ ერთა განთავისუფლება და, ამათ შორის, ქართვე-

ლი ერისაც. ამიტომ ჩვენი ვალია ხელი შეუწყოთ ამ ძალების გამარჯვებას. რითაც კი შეგვიძლია. ყველა მებრძოლი უნდა დაეწყოს და დაირაზმოს ამ ხაზე, შემოიკრიბოს გარშემო ყველა გულწრფელი და უანგარო პატრიოტი და შეერთებული ძალით თავის ქვეყნის სამსახურში ჩადგეს...

ნუ დავივიწყებთ, რომ ერის განთავისუფლება, პირველ-ყველისა, თვით ერის საქმეა; და ქართველმა ერმა კი არა ერთ-ჯერ ნათელ-ჰყო-თავის შეუდრეველი მისწოდება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი. მისი ასეთი სულისკვეთება დღესაც ისე ურყევი და უდრევია, როგორც გუშინ. თავისუფლების მოტრფიალე ერის ბეჭი კი უზრუნველყოფილია.

საქართველო იყო თავისუფალი და კვლავ იქნება...

ც. ურატამე.

## დაპზრობის დღე!

თებერვლის 24 შესრულდა 31 წელი, რაც საქართველოს დეაუქალავი დაეცა. საოცებაციი ხელისუფლება მეორე დღეს 25 თებერვალს ყოველ-წლივ დღესასწაულობს საქართველოში უცხო ჯარების შემოსვლის... რამოდენიმე ულირს შეიღთა თაონსნობით ერის თავისუფლების აღკვეთას და მის დამონებას. მათ მიერ გაშლილი დროშები ყოველ წლივ სერავს ხალხის გულს. მის გონიერაში აღვიდებს და ამახვილებს წარსულ მოგონებათა სურათს, როცა ერი იარაღ-ასხმული, მცირე რიგებით, მაგრამ მედგარი, მარტო მიტოვებული, მაგრამ უშიშარი, თავისუფლების დასაცავათ ეკვეთებოდა მრავალ-რიცხვან ურდოებს და ბრძოლით სტოკებდა მშობლიურ მიწის თითეულ ნაშერს...

თებერვლის იმპერიალისტურმა ნაბიჯმა პატარა ერის დასაპურობად ისე ჩაიარა, მცირე გამოხმაურების გარდა, თითქოს ჩვენი გასაჭირი არ იყო საშიშროებით სავსე სხვა ერთა დამოუკიდებლათ არსებობისთვის.

ჩვენი მოწოდება, დარიგება, გაფრთხილება რჩებოდა პატერში გამოყიდებული. კარხაკეტილნი საკუთარ თავშე მშრუნველობით დაბრმავებულნი, ათეულ წლების განმავლობაში ელოდნენ საბჭოთა რეებიმის ევოლუციას, მოსკოვის მორჩულებას. საჭირო იყო მეორე ომიდან გამოწვეულ შედეგების სიმწვავე, — მოსკოვის მადის გალეიდება და ევროპის კარებთან მოდგომა, რომ ყური გამოებერტყათ, სიცხიწლით მოპყრობდნენ მოსკოვის სიტყვასა და საქმეს... მართალია, მოსკოვის მსხვერპლთა რიცხვი გაიზარდა და ჩვენ გაგვიჩნდნენ ბუნებრივი მოკავშირენი, რომელნიც ირაზმებიან საბჭოთა ულლის გადასაგდებათ. ამას თან ერთვის ევროპა-ამერიკის დაპირდაპირება მოსკოვის წინამდეგ...

ამ საერთაშორისო პოლიტიკურ კვანძის ამა თუ იმ მიმართულებით გახსნისგან დამოკიდებულია საქართველოს მომავალი ბეჭი; რომლის გეოპოლიტიკურ ვითარების მნიშვნელობა უკარნახებს მსოფლიო ასპარეზზე მომქმედ ძალებს ანგარიშში ჩააგდონ მისი ძალა, დაკმაყოფილონ მისი კანონიერი მოთხოვნილება... ამიტომაცა უცხოეთში გაფანტულ ქართველ პოლიტიკურ ძალთა შეთანხმებულ მუშაობას ეძლევა უაღრესი მნიშვნელობა. საჭირო ხდება ყველგან მისელა, და სწორედ იქ, სადაც ერთა უფლების საკითხი სადაოთ გამხდარა... საბჭოთა ქვეყნაში მყოფ დაჩაგრულ ერებთა შეკავშირებით,—გადაბმა ყველა მებრძოლ ძალებთან, რომელიც უყოყმანოთ აღიარებენ ერთა თავისუფლებას და კერძოთ ჩვენი ერის სუვერენულ უფლების ავტომატიურად აღდგენას მოსკოვის დაცემითანვე...

საქართველოს ტაპირობიდან—ღლემდე არ შეწყვეტილა ბრძოლა მისი უფლების აღსაღენათ... თებერვალ-მარტის ოვენციი არ არიან თვეები დამარცხებისა, არამედ ბრძოლის ფორმის გამოცელის.—სხვადასხვა საშუალებით თავისუფლების დასაბრუნებლათ, რადგან იგი დამარცხდა ფიზიკურად, მაგრამ უცხო ძალას არ დამონებია, ის ვერ გასტეხს, მისი ნებისყოფა ვერ შეარყიეს, მისი სურვილი ვერ აღმოფხვდეს.

უცხო ძალა დღესასწაულობს თებერვალს,—ჩვენში კი იგი წარუშლელ სურათს აცხოველებს, როცა ტაბახმელას ფერდობზე ტყვიით ქმული აურუებდა მიდამოს, როცა ქართული სისხლით იღებდოდა თოვლის ჟეწარი, ჯარების შემოსვლისას შავ-ძაბებში ეხვევოდა დედა ქალაქი, გადარაზულ ფანჯრებიდან მოისმოდა ქართველი დედის ჩუმი კვნესა, გმირთა დასაფლავების დღეს ტაძრის ეზოში ზღვა ხალხი პირქვე ემხობოდა, გამეფებულ სიჩუმეში მხოლოდ ერთი ხმა ჩასწურჩულებდა მომტირალთ, ხმა ჩვენი დიდი მგოსნის ვაეფუძველასი:

«დედა-შეილობას ნუ სჩივი,  
ლმერთმა აცხონოს გმირები,  
რომ არ წაილოს საფლავში  
ლაფით მოსვრილი პირები».

თებერვალ-მარტის შავი დღეები თანდათანობით გადაეცემა თაობებს, იგი აღანთებს გამკლავების, თავდაცვის, საკუთარ ოჯახის ჩაუქრობელ ცეცხლს. იგი უანდერძებს ყველას მთლიანობას შიგნით, გამკლავებას გარეთ,—რაც თავდებია ერის ფეხზე დადგომის, მისი დამოუკიდებლობის შენარჩუნების.

პ. ს.

## სოციალიზმი და პატარა ერები.

უნდა ითქვას, რომ სიტყვა «სოციალიზმი» ისე გაუგება-  
 რია დღეს იმ საზოგადოებაში, რომლებიც წინეთ ამ სიტყვის  
 მნიშვნელობას საკაცობრივ იდეალად თვლიდენ, რომ შეგვი-  
 ძლია ვთქვათ პირდაპირ, რომ მისი წარმოთქმა თუ ზინზ არა,  
 მწუხარებას მანც იწვევს. და ამან, არა თუ მარტო უბრალო  
 მის ყოფილ მომსრულებულის, არამედ საშვალო მის სასარგებლოდ  
 მომუშავეთ-მოაზროვნეთა შორისაც დიდი ადგილი დაიკირა.  
 რატომ მონდა და ხდება ასე? იმიტომ, რომ ბევრმა, ძველმა,  
 ცნობილმა სოციალისტებმა გზა გაამრუდეს! 1947 წლამდე  
 ბოლშევებისმ სოციალისტებათ თვლიდენ, გარდა კ. კაულკისა  
 ნ. ერებანისა.

სოციალიზმი წარმოდგენით ისეთ პირობებს უნდა ქმნი-  
 დეს საზოგადო ცხოვრებაში, რომ ცეკველაფერი რაცაცი-ადა-  
 მიანიდან იქმნება, კაცი-ადამიანის სასარგებლოდ უნდა იხმა-  
 რებოდეს, მისი ცხოვრების შემსუბუქებას უნდა ემსახურე-  
 ბოდეს. რამდენად მისი, კაცი-ადამიანის, შრომა ნაყოფიერია,  
 თანაბრად იმისა, მისი ცხოვრებაც უნდა კმაყოფილდებოდეს;  
 რაც ამას ხელს უშლის, ის სოციალიზმის მოწინააღმდეგება;  
 ის კაცი-ადამიანის მტერია. ასეთი წარმოდგენა გვქონდა წი-  
 ნეთ და დლესაც ასე ვფიქრობთ: ყველა «იზმი» კაცი-ადამიანო-  
 ბის სამსახურში უნდა იყოს და არა წინააღმდეგო.

ავილოთ თუგინდ სარწმუნოება. მაგალითებრ ქრისტია-  
 ნობა; რაც და როგორც უნდა გვიქადაგონ ოფიციალურმა  
 მისმა წარმომადგენლობამ, რომ სსნა მხოლოდ საიქიონა არი-  
 სო, სამოციქულო და სახარება ნათლად ამბობს, რომ რაც  
 კეთილად ემსახურება აქ, ის იქაც, საიქიონს, მიღებული და  
 ცხონებულია. ის რაც აქ კაცობრიობას აწვალებს და ბორო-  
 ტებას ადენინებს, ის იქაც მიუღებელია და წაწყმენდილია. თვით  
 ქრისტეს მცნება პირდაპირ ამბობს: არ ეცი პატივი  
 ერთ-ერთ შენს მსგავს ძმას, ეს ჩემი უპატივცემლობაა. აქე-  
 დან, ყველაფერი კაცი-ადამიანობის სამსახურში უნდა იყოს;  
 მის საკეთილდღეოდ ზრუნვა და შრომა საიქიონსაც დალოც-  
 ვილია. რაც მას ეწინააღმდეგება, ის კი ღვთისაგანაც შეჩე-  
 ნებულია. სოციალისტი ხომ ამ გზით მიღის კაცი-ადამიანის  
 სამსახურად! მას არ აქვს თვითმოყვარეობა; მის გარეშემო  
 კარგად ყოფნა და კმაყოფილება, მისი კარგად ყოფნა და კმა-  
 ყოფილება არის. რაც ამას ხელს უშლის, ეს მისი ხელის  
 შეშლა არის და მას შეებრძოლება. აგრეთვე სოციალისტმა  
 იცის, რომ ერთი კუთხის კმაყოფილი ცხოვრება დროებითი  
 ხასიათისაა, თუ მეზობლად საზოგადოებები დაუკმაყოფილე-  
 ბელნია. ამიტომ ის ცდილობს კაცი-ადამიანი საყოველთაოდ

კმაყოფილ მდგომარეობაში შევიდეს. მაგრამ ის, სოციალისტი, შეებრძოლება იმას რაც რომ დაარღვევს კმაყოფილ მდგომარეობას რომელიმე საზოგადოებისას, კუთხისას, ერისას. ასე ესმოდათ სოციალისტების წრეებს ხალხის სამსახური,—მისთვის ზრუნვა და თავის პირად მეს მისგან განუყოფელად თვლიდენ. ე. ი. ამას თავისთვის სამსახურად თვლიდენ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ მათგანს შესაძლებელია მარჯის და ენერგელის არ შეუსწავლიათ, მათვის მთავარი იყო: პიროვნება, საზოგადოება, ერი და კაცობრიობა.

რა მოხდა ამ ოცდათი წლის განმავლობაში?

რა რომ დიდმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ერთმანეთს ხმლით შეეტანენ, სოციალისტური ინტერნალიც დაიშალა. რატომ მოხდა ეს ასე?

იმიტომ რომ მთავარ როლს სოციალისტურ ინტერნაციონალში თამაშოდენ იმპერიალისტური, ერების პირმშო შვილები და ისინი იძულებული იყვნენ პირში წყალი დაეგუბათ და ხმაამოულებლად დამორჩილებოდენ თავის ერის კლასის იმპერიალისტურ მიდრეკილებას. რომ მის გამარჯვებისათვის ხელი არ შეეშალა, მეომარ ერის შვილებთან ამხანაგური მსჯელობა მიუღებელი იყო. ასე მოხდა პირველ საერთაშორისო ომის დროს და ასევე—მეორე საერთაშორისო ომის დროსაც. სამაგიეროდ, როცა ომები დათავდენ, იმავე სოციალისტებმა თავის ერის ნდობა მიიღეს და სახელმწიფოს მართველობაც ხელთ აიღეს.

პირველ საერთაშორისო ომის დათავების შემდეგ, ინგლისში მუშათა პარტიამ მიიღო სახელმწიფოს მართვა-გამგეობა. დიდი იმპერიის კოფა-ცხოვრების მოვლა და დიდი მემკვიდრეობის თავის ერისათვის შენახვა სოციალისტურ მთავრობას თავს დააწევა და დავიწყეა წმინდა სოციალისტური მიწნები. დამორჩილებული ერებისათვის მხოლოდ რგვალი მაგიდა გამოიგონა, თითქოს ამით თანასწორობა განხორციელდებოდა (გაიხსნეთ მაგდონალდის მთავრობა, როცა მან მოიწევია დომინიონთა წარმომადგენლი ლონდონში). ამ მთავრობამ ეკრ მათხერხა სხვა გზით სიარული, რაც მის ერს სხვაზე უპირატესობას არ განუმტკიცებდა. ასეთივე ამბავი მოხდა რუსეთში, რევოლუციის გამარჯვების შემდეგ. აქაც. სოციალისტებმა პირდაპირ რუსული პატრიოტიზმით გაიყიდოთ და როცა რუსეთის იმპერიაში შემავალ ერებმა დამოუკიდებლობა-სუვერენობა მოითხოვეს, ისინი ყალყზე დადგნენ და ყოველი საშვალებებით შეებრძოლენ (რასაკვირველია, აქ მხედველობაში არ გვხავს ბოლშევიკები, ვინაიდან იმთ სოციალისტებად არ ვთვლიდით და არც ვთვლით). მათი საშვალებების, ერების სურვილების საწინააღმდეგოთ, უფრო მაგარი გამოდგნენ, ვიდრე სხვა რომელიმე რუსული წრეებისა. მათი სოციალისტური რევოლუციონერობა ნდობით იყო. მიღებული საერთოდ მშრომელთა და განსაკუთრებით მუშა-

თა კლასის სოციალისტურ წრეებში (ჩასაკვირველია ეს ასეც უნდა ყოფილიყო). მათი, რუსული, დამოკიდებულობა პატარა ერების საკითხებზე გადამწყვეტ მნიშვნელობის იყო. და განა დღემდისაც არ ამტკიცებდენ, რომ რუსეთში შემავალ პატარა ერებს არ აქვთ საშუალება დამოუკიდებლად იარსებონ ეკონომიკურად და პოლიტიკურად! ისინი დიდი რუსეთიდან გამოყოფით დაიღუპებიანო და ამიტომ მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან უნდა იყვნენო. ე. ი. დიდი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოთავსებული სიმდიდრე, მისი მრეწველობა და მარაგი არის ნამდვილი ფუძე სოციალიზმის და ყველას დამაკამაყოფილებელიო.

მათ დებულებებს დიდ ანგარიშს უწევდნენ სოციალისტურ ინტერნაციონალში შემავალნი და ზოგიერთ პატარა ერის შვილებისათვისაც დამაჯერებელი გახდნენ. სწორედ ასეთი მოსახრებები იყო იმის მიხები, რომ, სოც. ინტერნაციონალის თავმჯდომარებელი, ვანდერეველდემ, რა რო გაიარა რუსეთი ციმბირამდე. განაცხადა: რომ ბოლშევიკური გზაც სოციალიზმის გზა არის; მხოლოდ განმარტა:—თავისებურია.

ორი სოციალიზმი კი არ ასებობს და არც შეიძლება იყოს. ის ხალხის სამსახურში უნდა იყოს და არა ხალხი მისთვის.

პირველი საფეხური კაციადამიანის ნივთიერად განვითარებისა იწყება ოჯახით: შემდეგ სოფლით, სოფლიდან—საზოგადოებით,—მაზრით და ბოლოს სახელმწიფოთ. ეს თანდათან მაღლა—მაღლა ასვლა შემთხვევებით მოვლენად არ ჩაითვლება კაციადამიანის ცხოვრებაში. იწყება ანით. ამიტომ იყო წამოყენებული სოციალისტებიდან პირველი მოთხოვნილება: ადგილობრივი თვითმართველობის დაარსება და მისი თავისუფლება. ადგილობრივი ხალხის თვითმართველობა ახლო არის თავის წევრთა ნივთიერ მდგომარეობასთან. კარგად ესმის მათი მოთხოვნილებები: რაგორც ნივთიერი ისე სულიერიც. ამიტომ მისი უპირატესობა ნაცნობია სოციალისტებიდან. გვერტყვიან, ეს იყო მას უამსა შინაა. დღეს პაერში ფრინვა და ატომიკა ამოკლებს მანძილსა და დროსათვის მითი წყდება ყველაფერით. ვეთანხმები; მაგრამ, მაგარი ის არის, რომ ეს საძირკველიც უფრო განვითარებული და ფხინვლია. მაში, თავის საენო რამეს ის არ გააკეთებს. თავის მტერი არ გახდება. აქედან, ის, პირველი მოთხოვნილება სოციალისტებისა, დღესაც კანონად უნდა დარჩეს. საზოგადოების გაუქმება შეუძლებელი ხდება. ის თვითმომებელია და თავის ნებით უკავშირდება სახელმწიფოს. მთელი ერის ორგანიზმს, რადგან ეს კავშირი მისთვის სასარგებლოა. თუ ამით ზარალდება, მაშინ ის თავისთვის აჩება და შეძლებისდაგვარად შეებრძოლება. დათმობას კომპესაციით აქვთვებს. აქვს უფლება სოციალისტს ეს თავისუფლება წაართვას: ოჯახს,

სოფელს.—საჩოგადოებას? ჩვენის შეხედულობით არ აქვს, რადგან მისგან ზიანი არაის მოსდის.

რომ დღეს ინგლისის მუშათა პატრიას არ მიეღო პრინციპი სრული თავისუფლებისა ყველა ერების ინგლისის იმპერიაში შემავალისა, მაშინ ის ვერ შეძლებდა ხელყეყ შინაურ სოციალურ რეფორმებისათვის. მან კარგად გაიგო, რომ ვებერთელა, ჭრელებული სახელმწიფო, ძნელი მოსავლელია და ყოველივე პროგრაფიის მომვლინებელია და მუდმივი ხმლის ტრიალით უნდა ადგეს ხალხს თვაზე. ნამდვილმა სოციალისტურმა მოსახრებებმა ის ამ გზაზე დააყენა, ეს იყი; ის დაადგა ნამდვილ დემოკრატიულ გზას. მით ეროვნული ერთეული შეიქნა ფუძედ სოციალისტური თვითმოქმედებისა. აქედან,—რამდენად პატარა სახელმწიფო და ერთხაირი სხეულისაა, იქ უზრო ადვილია სოციალიზმის განხორციელება და მისგან ხალხისთვის სამსახური. განა ბოლშევიკური ველურობა მარტო ლენინ-სტალინის სურეილებზეა აშენებული? ისინი მხოლოდ აღმასრულებელია რუსეთის იმპერიალისტური მიღრეკილების და ამ მიღრეკილებას მხოლოდ ბოლშევიკური უხეშობა შეეფერება. ნუ თუ გასაგები არ არის «მილიუკოვიზმი!» ის ხომ საესტიტუაციას რუსულ მიღრეკილების პატრიოტიზმს! დიდი იმპერია, განუყოფელი და ამ მიწნით, სტალინთან ხელჩაყიდებული, ერთად მიღიან—მიიღმდერიან; ურთი-ერთის კი ემინიათ: «მტკიდი» გვერდში მოსწრებით რომელიმებ არ ატაკოს. ასეთი შინაური ბრძოლა სასახლის გადატრიალებისა, სხვა წრეებშიც ხდებოდა. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს სოციალიზმი და სოციალისტების გალებულება კაცობრიობის წინაშე.

ზემოდ მოყვანილი დებულებები ჩვენ გვარწმუნებს, რომ ყოველივე ის, რაც ხალხის ცროვების შემსუბუქებას ხელს შეუწყობს, შესაძლებელია მხოლოდ პატარა-ძირითად ორგანიზაციებიდან. იქ ერთნაირი და ერთგვარი მოქნილი ტაქტიკის წარმოება გაადვილებულია და გარეშებისათვისაც წასაბაზი სდება. თვალს ნუ თაგაუჭავთ და ტრაბახად ნუ ჩამოგვართმევენ. რომ ვიტყვით: საქართველო განა ამის მაგალითი არ არის? ორი წლინახევრის განმავლობაში მან სოციალისტების ხელმძღვანელობით, მთელი ქონებრივი გადატრიალება მოახდინა უსისხლოდ და უმტროდ. ერის სხეული ერთი და განუყოფელი შეიქნა, იმ დროს, როცა დიდ ჭრელებულ რუსეთში, საშინელი სამოქალაქო მოის სისხლის დვრა ვითარდებოდა. აქედან,—პატარა ერებს უურო ადვილად შეუძლია სოციალიზმს დაუახლოვდეს. მისი შეიღები უფრო კარგად იცნობენ ურთი-ერთს და მით მეტი მორიდებით და პატივის-ცემით მოქადაგიან ურთი-ერთის ინტერეს. განა ამით ის, პატარა ერი, კარჩაკეტილი და განცალკევებული რჩება დანარჩენ კაცობრიობიდან! ეს შეუძლებელია და არც მოითხოვს ამას მისი ინტერესი. წინააღმდეგ; ის თვით შეეცდება კავში-

რი იქონიოს სხვებთან და მეცნიერული დამოკიდებულებით თავისი მიაწოდოს და თვითონაც მიიღოს სხვებისგან. ასე გვესმოდა და გვესმის სოციალიზმის დანიშნულება. ჩე-ხედულობით, ყველა სოციალისტი ამ გზით უნდა მიღიოდეს ხალხის სამსახურად. თორებ, დიდი «ტრიბუნიდან» ლამაზი სიტყვების წარმოთქმა და «ოვაციების» მიღება გარეშეებიდან, არაფერი სოციალისტობა არ არის.

პატარა ერების თავისუფლად ამოქმედება ნამდვილი დემოკრატიული და სოციალისტიური პრინციპია. ვინც ამის წინააღმდეგია, ის არა სოციალისტია.

ლ. ჭობიძე.

რომი. ივნისი 1949 წ.

### ადგისიალი ალენ კეჩკი.

როგორც ვიცით, ამერიკული კომიტეტის თავმჯდომა-რეთ დანიშნა აღმირალი კერკი.

კერკი რამდენიმე წელიწადს იყო ამერიკის ელჩათ მოს-კოვში. იცნობს იქაურ მდგომარეობას, როგორც პოლიტი-კურს. ისე ხალხის სულიერ განწყობილებას კომუნისტური რეჟიმისადმი. მისი დანიშვნა, თუ არჩევა, ხელმძღვანელათ ისეთი საზოგადოებრივი ორგანიზაციისა, როგორიცაა ამე-რიკული კომიტეტი, იმდენათ მნიშვნელოვანია პოლიტიკუ-რათ, რომ მას არ შეეძლო არ მიექცია ფართ საზოგადოების დიდი ყურადღება. მას ვრცელი წერილი უძღვნეს ამერიკის თითქმის ყველა დიდმა განეთებმა და მათ შორის, მეტად გავ-ლენიანმა განხეთმა, «ნიუ-იორკ-ტაიმს» მა, საიდანაც ჩვენ მო-გვყავს წოვიერთი ადგილები.

განეთი, პირველ ყოვლისა, ხაზგასმით აღნიშნავს იმ სიტ-ყვებს, რომელიც წარმოსთქვა კერკმა, როცა მიიღო თავმჯდო-მარის თანამდებობა: «ჩვენი მტერია სტალინის რეჟიმი, მო-ნებათ გადაქცეული საბჭოთა კავშირის ხალხები კი ჩვენი შე-გობრებია»—ო.

აღმირალი—განაგრძობს განეთი—თავის საკუთარი და-კვირვებით მოსკოვში დარწმუნდა, რომ საბჭოთა კავშირის ერების ინტერესებს არაფერი საერთო არ აქვს კრემლის გაუ-მაძღარ იმპერიალიზმთან. ეს ერები იძულებული არიან იმუ-შავონ უკიდურეს სიღარიბეში, რომ მისცენ სტალინს სახსა-რი მისი პოლიტიკური ექსპანსიისთვის.

განეთი მოგვაგონებს, რომ ამერიკული კომიტეტი შეს-დგა შეერთებულ შტატების მოქალაქეთა იმ ჯგუფისაგან, რომელმაც მიზნათ დაისახა მხარი დაუჭიროს ემიგრანტებთა შორის ანტი-სტალინურ მუშაობას და გაუწიოს მას მატერი-ალური დახმარება.

ის აღნიშნავს, რომ სანამ ბ. კერკი, ამერიკის კომიტეტის

თავმჯდომარე გახდებოდა, გერმანიაში შესდგა სხვადასხვა ემიგრანტულ ჯგუფების თათბირი, რის შესახებ ზოგიერთ რესულ განერაციაში დაიბეჭდა ისეთი წერილები, რომლებიც მოწმობენ ამ ჯგუფების ერთომეორისადმი უნდობლობას. ერთი ემიგრანტი ლიდერის განცხადებით—კომიტეტი კერკის მონაწილეობა ნათელ ჰყოფს, რომ ამერიკის შტატები მიზნათ ისახავენ მოაწყონ ემიგრანტების გაერთიანება. ეს კი, უცხველათ, ხელს შეუწყობს სხვადასხვა ჯგუფთა შერის თანამშრომლობის დამყარებას.

დიდი ხანი არაა, რაც ერთმა დიდმა უპარტიონ ჯგუფმა გამოაქვეყნა მოწოდება ეფრობის და ამერიკის ყველა ემიგრანტებისადმი, ბოლო მოულონ პარტიათა შორის დავას, რათა შესაძლებელი გახდეს რკინის ფარდის იქით დარჩენილ მოძმეთა ტანჯვა-წვალების შემსუბუქებათ.

განერთის აზრით, კერკის ერთი უმთავრესი ამოცანა—მიაღებიოს საერთო მუშაობაში მონაწილეობა უკრაინის, ბელორუსის, კავკასიის და სხვა ერების წარმომადგენელთ. კერკის პრესტიუს შეუძლია დაარტმუნოს ეს წრეები, რომ ამერიკის კომიტეტი არ უწყობს ხელს არავითარ განსაკუთრებულ ველიკორუსულ ინტერესებს სხვა ერების ინტერესთა საწიანოთ, რაშიდაც მა დღემდე ბრალს სდებდენთ.

ადმირალ კერკის განკარგულებაში არის სწორი და სარწმუნო იმფორმაცია და თან ყოფილი ელჩის პრესტიუ. ყოველივე ეს დიდათ შეუწყობს ხელს მუშაობის ნაყოფიერებას. წინაადელ ცდებს ხელს უშლიდა და წინ ელობებოდა შური, უნდობლობა და უთანხმოება მცირე ერების უფლებების შესახებ. ყველა, ვისაც სწყურია მშეიცობიანობა და გული შესტკივა საბჭოთა მიერ დამონებულ ერებისადმი, უსურვებენ ადმირალ კერკს მისი მისიის ნაყოფიერათ დასრულებასთ—ათავებს განერთი.

ზემოთ მოყვანილი «ნიუ-იორკ ტაიმს» ის ეს წერილი იმდენათ მცერეტყველურია, რომ კომენტარიებს არ საჭიროებს. მიუხედავათ ამისა, ჩეენ მაინც გვინდა ხაზი გაუსვათ იმას, თუ რამდენათ სინამდვილემ დაადასტურა ქართველობის მიერ გაბედულათ აღებული პოლიტიკური გზის სისწორე. ამ გზის წინააღმდეგ ამტყდარი დავა-ყვირილი—ეს რა კომიტეტია, ვიღაც რუს-ებრაელების მიერ ინიციატივა რუსეთის მთლიანობის დაცვაზე აგებული, ამ კომიტეტს არამც თუ ამერიკის მთავრობასთან კავშირი არ აქვა, პირიქით, ის მას უპირდაპირდებათ და სხვა ამგვარი «სიბრძნე» სინამდვილემ გააქარწყლა და გაანიავა.

უბრალო მოლაპეთ და უსაქმურთ, რომელთაც არასოდეს არაფერი გაუკეთებიათ, გარდა სხვისი გაკეთებულის კრიტიკისა და გაწმილებისა, შეეძლოთ ამერიკული კომიტეტის მნიშვნელობას ვერ მიმხვდარიყვენ. თქმა არ უნდა, ჯერ კიდევ ბევრი რამაა მოსაწესრიგებელი და მოსაგვარებელი,

შარა ერთი დაკვრით ცხოვრებაში არაფერი არ კეთდება. მთავრია მოვლენის მიმღინარეობის შეცნობა, მისი ალლოს აღება და თავის აქტივობით და შიგ ჩატევით მისთვის სასურველი მიმართულების მიცემა.

«ნიუ-იორქ ტაიმს»-ის ასეთი ენერგიული გამოსვლა კომიტეტის და მისი პროგრამის სასაკრებლოთ მეტად სიმპტომატიურია. მას, რასაკვირველია, გადამწყვეტი მხიშვენელობა არ აქვს, არარუს ერებს ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა და მუშაობა დასკურდებათ ამერიკის საზოგადოებრივი აზრის გასამარჯვებლათ. მაგრამ მთავრია ის, რომ გზა ამ გამარჯვებისათვის უკვე ნახულია და ასლა თვით ამ ერებზეა დამოკიდებული როგორ ფართო ისარგებლებენ ამით.

ეს ბადენი ამ ბრძოლის და ასეთი მუშაობის მხოლოდ ერთი ეპიზოდი იყო, საჭიროა მისი გაგრძელება და ერთა თავისუფლების დროშით გაბეჭდულათ სელა. ვინც ამ გზას არ გაყვება—ის ბრძოლის გარეშე და მისი შორიდან მაყურებელი დარჩება...

გრ. ურატაძე.

### მთავრი საბართვალდან.

მოგვყავს ჩვენ მიერ მიღებული ზოგიერთი ცნობები შემოვლებით: «საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც გაფაციეტით ატარებს საომარ სამხატვის, ცველაფერს შეება წურგის გასამაგრებლად: ძალადატანება, დახვრეტა, დატუსალება, გადასახლება. სისტემატიური წმენდა არასაიმედო პარტიულ ელემენტების, —გადაიქცა უოველდოიურ მოვლენად. ასმალეთის მონაწილეობა კორეის კონფლიქტში გახდა მიზეზად საშინელ რეპრესიების მესულმანურ მოსახლეობის წინააღმდეგ მთელ საბჭოთა კავშირში. შეიქნა შთაბეჭდილება, რომ თითქოს საბჭოთა კავშირის სამხრეთ საზღვრები საიმედო აღარ არიან, რამაც გამოიწვია სამხრეთის ფრონტის გამარტება.

... მსოფლიოს კონფლიქტის შესაძლებლობას კრემლის პროპაგანდისტები აღარ მალევნენ, მაგრამ ცველაფერს ამას ხსნიან, არა საბჭოთა ხელისუფლების აგრესიული პოლიტიკით, არამედ ანგლო-ამერიკის ბოროტი ზრაცხებით, საბჭოთა ხელისუფლებისადმი სიძულვილით... მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დაშინებული მომავალი ომის გამანადგურებელი შედეგებით. არავის ეკვი არ შედის იმაში, რომ თუ ომი ატევდა, ომს კრემლი წააგებს.

მოსკოვის ალვირ ახსნილმა საომარ პროპაგანდამ და მომავალ ომში ატომიურ ენერგიის გამოყენების საშიშროებამ, მათ იმედები არ გაუმართლა. პარტიის რიგებში შეიქნა პანიკა და ხაოსი. მაგივრად იმისა, რომ ეს პროპაგანდა კრემლის

ირგვლივ შექმნიდა ერთსულოვნებას, შთაბერავდა საომარ სულს,—შეიძმნა შთაბეჭდილება, რომ ომი მაინც სულერთია წაგებულია და მსხვერპლის გალება საჭირო აღარ არის. ამ ფსიქოლოგიურ შეცდომის გამოსასწორებლად, მოსკოვის ჯანბაზებმა შიმართეს ახალ ტაქტიკას, და ღაუწყეს მტკიცება შეშინებულ მოქალაქეთ, რომ მათი მეცნიერები გაცილებით წინ დგანან ევროპა-ამერიკის მეცნიერებზე. რომ მათი ატო-მიური ენერგია უფრო გაცილებით ძლიერია ევროპა-ამერი-კის ატომიურ ენერგიაზედ...

საბჭოთა პროპაგანდის ახალი თეზისების მიხედვით საბ-ჭოთა საგარეო პოლიტიკის ფორმულა შემდეგია: «კაპიტა-ლისტური ქვეყნები მიექანებიან სოციალურ და ეკონომიურ კრიზისებისკენ, უმუშევრობა და მასსების გაღატაკება; ეს პროცესი დაქარებული იქნება აუტანელი სამხედრო ბიუჯე-ტით და შორეულ აღმოსავლეთში გაუთავებელი კოლონია-ლური მებრძოლ თავისუფლებისთვის მებრძოლ ერების წინა-ამდეგ. კაპიტალისტური სისტემა ვერ გაუძლებს აუტანელ სამხედრო ხარჯებს. გაიზრდება შინაგანი წინამდებობა, რო-მელსაც მოყვება საგარეო გართულებები და მაშინ ჩამო-ყრავს ზარი სტალინის მოქმედებისთვის»—ო...

სუშათა მდგრადარღვება.

ბოლშევიკები კარგად გრძნობენ, რომ საბჭოთა ხალხის ფიზიკური, მორალური და მატერიალური დონე მინიმალუ-რია, დაიწყეს მათი გულის მოგება, ამ მიზნით უკანასკნელ ხანებში, ბაზარზე გამოუშვეს ფართე მოხმარების საგნები, 20% ფასების დაკლებით. ეს ღონისძიება ტარდება დიდი ლო-ზუნგების ქვეშ: «კაპიტალისტურ ქვეყნებში ყველაფერი ძი-რდება, ფართე მოხმარების საგნები ბაზრებიდან ქრება, ჩვენ-ში კი საქონელი დღითი დღე მატულობს და ფასები კი კლე-ბულობს», ან კიდევ: «უცხოეთში უმუშევრობა დღითი-დღე იზრდება და საბჭოთა სამოთხეში კი მუშა სამუშიერით უზ-რუნველყოფილია»—ო და სხ. სინამდვილე სრულიად წინაამ-დეგს ლადადებს. მართალია ფასებმა დაკლეს ოციოდე პრო-ცენტით, მაგრამ გადასახადები გადიდდა 25 პროც.—30 პროც. სელფასი კი დარჩა ძველი. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საბჭოთა სინამდვილეში მრეწველი და ვაჭარი იგივე სა-ხემწიფოა, აშკარა იქნება თუ ფასების დაკლება ვისთვის და-რჩა სასარგებლო...

რვა საათის სამუშაო დღეს საბჭოთა მოქალაქისთვის სა-ნატრელი გახდა ქალაქად კომუნალური გადასახადები, 1946 წლიდან 5 ჯერ გაიზარდა. კერძო ბინების მიწის რენტა და დაზღვევის გადასახადი 50 პროც. გაიზარდა. 1939 წლის გამო-ცემული ბრძანება მუშა-მოსამსახურეთა წარმოებაზე მიჯა-ჭვის შესახებ და გაცდენა-დაგვიანებისთვის გამოცემული უმ-კაცრესი კანონი, რომელიც ომიანობის დროს შესუსტდა,—

ეხლა მთელი თავისი სისასტიკით გააღვიძეს. სასამართლოში ინდივიდუალური საქმის გარჩევას, რომ ვეღარ ასწრებენ შემოიღეს კოლექტიური გასამართლება და ერთი და იგივე ბრალდებისთვის გამოაქვთ სტანდარტიული განაჩენების საქმის სრული გამოძიებისა და სათანადო მიზნების შემოწმების სრულიად ყურადღების მიქცევის გარეშე.

გლეხების მდგრადიანობა.

გლეხების მდგრადიანობა კიდევ უფრო გაუარესდა. დღეს ვლეხი იძულებულია დამატებითი გადასახადი აძლიოს მთავრობას, მაგალითად, კოლექტურის საკარმიდამ მიწის ნაკვეთზე ერთი წლის განმავლობაში იხდიდა 1940—46 წლების განმავლობაში 800—1200 მანქოს, დღეს ამას ამ ფერდობზე გაშენებულ ნარგავებს ძირებულად უთვლიან და აწერენ 4 სახის გადასახადს, სასოფლო სამეურნეო, კულტურული, თვითდაბეგვრა და სახემწიფო დაზღვევას... კოლმეურნეობის თავმჯდომარის უფლება გაიზარდა, მათ შეუძლიათ დასაჯონ კოლმეურნენი თავის შეხედულებისადა მიხედვით, შეუძირონ შრომის დღეები, ჩამოართვან პირად სარგებლობაში დატოვებული ნაკვეთი მთლიანად ან ნაწილი, გარიცხონ კოლმეურნეობის წევრი და გააძევონ სოფლიდანაც კი, თუ საჭიროა გადასცენ იგი უშიშროების საინისტროს, როგორც მისი ბრძანების არ შემსრულებელი, საბჭოთა ხელისუფლების წინაამდევი და სხ... ერთი სიტყვით, იგი კოლმეურნეობის სოფლის პატარა ღმერთია, კრემლის მიერ მოვლინებული, რომლის ხელშია კოლმეურნის სული, ხორცი, ცოლ-შეილი და ლუქმა პური, და მასევ შეუძლია დასვას კოლმეურნის ყოფნა არყოფნის საკითხიც...

«ამერიკის სპას ქართული გადმოცემა.

ამ შემთხვევამ დიდი შთაბეჭდილება დატოვა საქართველოში. პარტიულ რიგებშიც კი ერყობა ერთვევარი ინტერესი. ზოგიერთ მათგანში გაიღინდა რაღაც სიამოვნების ძალამ მშობლიურ ენაზე უცხოეთიდან გადმოცემის მოსმენის დროს...

ამერიკის საგარეო მინისტრის აჩესონის სიტყვა აქ გავიგეთ პირველად ბობოლა კომუნისტებისგან. ამ შემთხვევამ ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ პარტიულ წრეებში დაბნეულობა შეიტანა და თვით გაავრცელეს ხმა ამერიკიდან ქართულ ენაზე გადმოცემის შესახებ... ჯერ-ჯერობით გატმოცემის შინაარსზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ერთი კი ცხადია, რომ დიდ ყურადღება უნდა მიექცეს საქართველოს მარიონეტულ მთავრობის მოქმედების ყოველ-დღიურ კრიტიკას და აქტუალურ საკითხის სისწორით გაშუქებას. საინტერესოა, რომ კომპარტიის ცეკვის მდივნის კ. ჩარკვიანის განკარგულებით დაიწყო კომპანია წარმოებებში და დაწესებულებებში «ამერიკის ხმა» ს მოსმენის საწინაამდევოთ. პრო-

პაგანდა სწარმოებს შემდევი ლოზუნგით: «ქართველი თავა-  
 დები და ფაშისტები ამერიკის კაპიტალისტებისა და ომის  
 გაჩაღების სამსახურში»... მუშა-მოსამსახურებს აღებინებენ  
 რეზოლუციებს საზეიმო აღთქმით, რომ არასტროს არ მოუ-  
 სმენენ საზღვარ-გარეთიდან კაპიტალისტების აგენტების გად-  
 მოცემას და მათ ცილისწამებას სოციალისტურ სამშობლოსა  
 და საბჭოთა წყობილების წინაამდევ, რომ ისინი უპასუხებენ  
 შრომის ნაყოფიერების კოდექ უფრო განჩრდით... ამ რეზოლუ-  
 ციების დიდის ზეიმით იღებენ, მაგრამ კრების გათავების  
 შემდევ კომუნისტებიც კი ცდილობენ დაიჭირონ უცხოეთი-  
 დან გადმოცემა და გაიგონ ახალი ამბები...

დაგნილი.

### ს ი ტ ჟ პ ა,

წარმოდთქმული ხ. ჩიკვილაძის შიგრ 9 სეტემბერის  
 ქართველთა ხანგაძლი კრებაზე.

ძვირფასო მეგობრებო,

მე, რასაკვირველია, მიწნაზ არ მაქვს ისეთი რაჟე ვსთქვა,  
 რომელიც რეპლიკებს გამოიწვევს. მაგრამ თუ მაინც მოხდა,  
 მე წინასწარ ვაცხადებ, არც რეპლიკებშედ, არც რაიმე შეკი-  
 თხვახედ არის პასუხს არ გაცემ, იმ მოსაზრებით, რომ მე  
 არ მინდა ჩემმა ნაზევამა კამათის ხასიათი მიიღოს და ამ კრე-  
 ბულს ზედმეტი ღრღო დავაკარგენო. მე მინდა მხოლო, მე-  
 გობრებო, ორიოდე სიტყვით ზოგიერთი ძეველი და ახალი  
 ამბევები მოგაგონოთ. როდესაც თქვენ საქართველოს გრძელ  
 ისტორიას გადახედავთ და დაკვირდებით, დაინახვთ რომ  
 დასაწყისიდან დასაბამამდინ, ზოლებივით მოყვება პატარა-  
 ზავი წერტილები. მე ვსთქვი, რომ პატარა, მაგრამ დიდათ ხ  
 მავნებელი და საზიანო ჩვენი ერის საქმიანობისათვის. მაგა-  
 ლითად, მეთორმეტე საუკუნეში თამარ დედოფალმა საქარ-  
 თველოს შეუქმნა ოქროს ხანა, მან ქართველი ერის ცხოვრება  
 ააყვავა და გააფართოვა; მის ირგვლივ მტრულათ განწყობილ  
 მეზობლებს ყველას პირში ლაგამი ამოსდვა. აი იმ დროს,  
 როდესაც თვითოული ქართველი და მთელი საქართველო  
 ვალდებული იყო ამ გენიოსს ადამიანს გვერდში ამოსდგომო-  
 და და მისი გენიალურ საქმის წაყვანაში დახმარებოდა, სწო-  
 რეთ აქ აღმოჩნდენ ეს ზავი მავნე წერტილები და მას აუჯანყ-  
 დნენ; ხელის შეწყობის მაგივრათ დიდათ ხელს უშლიდენ მი-  
 სი გენიალური საქმის წაყვანაში. აქედან მოკიდებული მრა-  
 ვალი მოდალატე ითარ-ბეგები, ციციანოვები და ფალავან-  
 დიშვილები ახსოვს ჩვენი ქვეყნის ისტორიას, მაგრამ ამას  
 დავანებოთ თავი, რადგან შორეულ წარსულს ეკუთვნის. გა-  
 ვიხსენოთ გუშინდელი ამბავი, ყველა ჩვენთაგანის მიერ ნანუ-  
 ლი ათას ცხრას ოცდა ერთს წელს (1921 წ.), ორიოდე ქართ-

ველი ერის ულიოსში ნაძირალა შეიღებმა ოჩჯონიქიძე-ბუდუ  
 მდივანის სახელწოდებით რუსეთის ბარბაროსებს შემოუძ-  
 ლვენ და თავისუფალი საქართველო დააპყრობის. როგორც  
 ხელვათ, ეს მანენ ელემენტები შეოცე საუკუნეშიდაც გრძელ-  
 დება.

ამ ორი წლის წინეთ, პატივცემულმა ნოე ცინცაძემ დი-  
 დებულათ დამუშავებული და დალაგებული საჯარო მოხსე-  
 ნება გააკეთა. იქ სრული სისწორით იყო ალიშტული საქარ-  
 თველოს გამანთავისუფლებელი ბრძოლის გზები. როდესაც  
 მოხსენება დაამთავრა ბატონი ჩეზო გაბაშვილი ადგა და ალ-  
 ბათ საკრიტიკო ბევრი არაფერი დაურჩა, მაგრამ მაინც უთ-  
 ხრა: ეს ყველაფერი კარგია, რაც შენ დაგიწერია, მაგრამ ჩვენ  
 თქვენ ვერ გენდობით. სიტყვა სიტყვით, ჩვენ თქვენ ვერ გენ-  
 დობითო. რაშია, მეგობრებო, ეს ერთიმეორისადმი უნდობ-  
 ლობა და ერთი მეორის შორის დაუსრულებელი შურისა და  
 სიმძლვარის თესვა? ნუ თუ ვინმე ფიქრობს, რომ ასეთი მო-  
 ქმედებით ჩვენი ქვეყნის საქმეს წასწევს? არა მეგობრებო,  
 ეს არის დიდათ მავნებელი და საზიანო ჩვენი ქვეყნისა და ჩვე-  
 ნი ერის საქმიანობისათვის. ჩვენ ყველამ კარგათ უნდა ვიცო-  
 დეთ, რომ ჩვენი ქვეყნის ხსნა და მისი კეთილდღეობა მხო-  
 ლოთ და მხოლოთ ქართველი ხალხის ერთობაშია, და ყველა  
 ქართველი პოლიტიკური მოღაწე, განსაკუთრებით ის პირე-  
 ბი, რომელიც ხელმძღვანელობის როლს კისრულობენ, მთე-  
 ლი თავის შესაძლებლობით და ენერგიით აი ამ ქართველი  
 ხალხის ერთობას და მის მჭიდროობ შეკავშირებას უნდა ემ-  
 სახურებოდენ, თუ მათ უნდათ კეთილსინდისიერათ და პირ-  
 ნათლათ თავისი ვალი მოიხადონ ჩვენი ქვეყნის წინაშე.

არავინ იფიქროს, რომ მე მთავრობის დამცველათ გამო-  
 ვდიოდე, მთავრობას ჩემი დაცვა არ სჭირია, მაგრამ ის კი  
 ძალიან სულითა და გულით მინდა, რომ ჩვენს ქართველობა-  
 ში სიმართლე და სამართლიანობა იყოს დაცული. ნუ თუ ამ  
 ხელისუფლებას ის უნდა ჩატვალოს გაუთავებელ დანაშაუ-  
 ლათ, რომ ორმილიონ ნახევარი ქართველებით ორას მილიო-  
 ნიანი თავიდან ფეხამდის შეიარაღებული რუსეთი ვერ და-  
 ამარცხა. მე ვიფიქრობ, სამართლიანი მსაჯული ამას დანაშაუ-  
 ლათ ვერ ჩათვლის. ან შეიძლება ის არ იყოს ყურადღების  
 ლირისი და ფასიანი, როდესაც თქვენ საქართველოს გრძელ  
 ისტორიას გადახედავთ, დაინახავთ, რომ ქართველი ერი არა-  
 სოდეს აღმოსავლეთი, დასავლეთი საქართველო და ყველა  
 მისი კუთხეები ისე მჭიდროობ გაერთიანებული არ ყოფილა,  
 როგორც ის მოხდა იმ ხელისუფლების ხელში ათას ცხრაას  
 ჩვიდმეტში (1917 წ.). ან შეიძლება ის არ იყოს ყურადღების  
 ლირისი, როდესაც თქვენ გაიხსენებთ რევოლუციის პირველ  
 დღეებს, დაინახავთ, რომ ვებერთელა რუსეთის იმპერიაში  
 არ დარჩენილა არც ერთი კუთხე, არც დიდი, არც პატარა,  
 არც წმინდა რუსები და არც მასში შემავალი წვრილი ერები,

სადაც საშინელ სამოქალაქო კუცხლის ხანძარს არ გადაეც-  
 ლოს, ათეული მილიონებით ხალხი სისხლის მორევში არ  
 ჩამხრივალიყოს. ერთად ერთს გამონაკლის შეადგენს ჩვენი  
 პატარა საქართველო, მიუხედავათ იმისა, რომ იგი ირგვლივ  
 მტრებით იყო შემოსალტული, ის მაინც აი ამ აბობიქრებულ  
 კუცხლიდან სრულიათ უკნებლათ გამოვიდა. როგორ ფიქ-  
 რობთ მეგობრებო, და თქვენ განსაკუთრებით ახალგაზდებო,  
 ეს ბეჭნიერება ქართველ ხალხს ზეციდან ჩამოუვარდა? არა  
 მეგობრებო, ეს იყო სწორეთ შედეგი კარგი და გონივრული  
 სწორი მუშაობის. რასაკვირველია, როცა აღამიანი ყოველ-  
 დღიურ საქმიანობაში ხარ, არ შეიძლება სადმე შეცემაც  
 არ შეგვაროს, მაგრამ ეს ხომ ბოროტება არ არის. მაში სად  
 არის ამ დაუსრულებელი უნდობლობის ძირი. მე მინდა ჩემი  
 სიტყვა დავათავო ჩემი უალრესათ გულწრფელი ნატვრით.

ჩემი გულწრფელი ნატვრა იქნება რომ, ამ მუდმივი, ერთი-  
 მეორისადმი უნდობლობას, ამ მუდმივი ერთი-მეორის შო-  
 რის შურისა და სიმძულვარის თესვის ბოლო მოლებოდეს და  
 ჩვენ ყველანი ავმალებულყოფილვიყოთ იქნამდის, რომ  
 თვითეული ჩვენთაგანის გულში დამკვიდრებულიყოს ერთი-  
 მეორესადმი ძმური სიყვარული, ერთი-მეორისადმი მეგობ-  
 რული პატივისცემა და ერთი-მეორისადმი უალრესათ ნდო-  
 ბით ალპურვა.

---

## მო რიგი იმ რიგი.

«ივერია» განაგრძობს თავის სანაქებო ხელობას: თავს  
 ესმის ყველას, ვინც კი ებრძვის ჩვენი ქვეყნის კუპანტრებს.  
 მთელი მისი მეორე ნომერი სავსეა ასეთი თავდასხმებით,  
 ზოგზე პირდაპირ, ზოგზე შემოვლით და ზოგზე ზურგიდან.  
 განსაკუთრებით ნიშანშია ამოლებული ჩვენი ეროვნული მთა-  
 ვრობა, რომლის არსებობა მას მოსვენებას არ აძლევს.

როცა კითხულობ ამ წერილებს, აკვირდები მათი ავტო-  
 რების საქმიანობას—გევონებათ ყველაფერი გათავებულია,  
 სამშობლო განთავსუფლებულია, მტრები უკუქცელია, ყო-  
 ველგვარი საგარეო დაბრკოლებანი დაძლეულია და რჩება  
 მხოლოდ შინაური საკითხები: ბრძოლა პარტიათა შორის,  
 ერთიმეორის ანგარიშის გასწორება, მთავრობის გადაგდება  
 და ახალის არჩევა და სხ. და სხ. სწორეთ რომამათხეა ნათქმი:

კამეჩი წევს და იცოხნის, თავის ამინდი ჰგონია.

ლაფუში ჩაფლული ურემი, შინ მიტანილი ჰგონია.

ასეთი იერიშები წინეთაც ყოფილა, მაგრამ მართალი  
 გითხრათ, ასეთი დაკინებული მოწინააღმდეგე, არას დროს  
 გვყოლია. ამათ არც ცოდნა აქვთ და არც უნარი გაერკვენ  
 ჩვენს ირგვლივ შექმნილ მძიმე და ათასგვარად დახლართულ

საერთაშორისო პოლიტიკურ მდგრადარღვევაში და რომ ეს თავის გონიერობის უძლურება დაფარონ — იგინებიან, იღანდებიან, იგონებენ ათასგვარ ჭორებს და უხვად აწვდიან ყველას — შინაურს და გარეშეს.

მთელი ქართული რეაქცია დღეს ჩვენი პარტიის და ჩვენი ხელმძღვანელობის წინააღმდეგ არის შეერთებული და წაკაპიტებული გვებრძვის. ასე რომ მათი ბრძოლის მთავარი მიზანი შეიქნა არა კომუნისტური რეებით, არა მოსკოვის ბატონობა, არამედ ამ რეებითს წინააღმდეგ მებრძოლი ორგანოების გატეხა-დასუსტება. და თუ დღემდე ეს სამარცვინო ბრძოლა მხოლოდ შინაურ ფრონტზე სწარმოებდა, ახლა ის საგარეო ფრონტზედაც განაახლეს. დაწყეს ჩუმ-ჩუმათ დაბეჭდება უცხოელებთან და აღარ ერიდებიან არაფერს, ოლინდკი ეროვნულ მთავრობას სახელი გაუტეხონ, ნდობა შეუჩიონ და ხელი შეუშალონ მას პოლიტიკური დახმარების მიღებაში.

უცხოელების ჩვენზე გულის აცრუებას და ჩაჩუმებას დიდი ხანია ცდილობს მოსკოვი, მაგრამ დღემდის ვერ შესძლო. თუ როგორ დაინტერესებულია ამაში მოსკოვი, ნათლა თხინას, ნიუორკის განეთ «როსია»-ში (№ 75), დატეჭდილ კომუნ. პოლიტ-ბიუროს ვრცელი დადგენილებიდან, სადაც ნათქვამია: «გამოინახოს შესაფერი საშვალებანი ემიგრაციის დასარღვევათ და ამ მიზნით მათ ზორის იქნეს გადასროლილი ასეულები, დაითესოს შული ორგანიზაციებში და მიმართონ ისინი მეთაურთა წინააღმდეგ. მიღებულ იქნას ყოველნირი ზომები ორგანიზაციათა ცალკე წევრების სახელის გასატეხათ, განსაკუთრებით გამოჩენილ ხელმძღვანელების» და სხ. ით ჩა მიზანს ისახავს ჩეკა და მისი პატრონი და როცა აქ ასეთ რამეს ხელს უწყობენ, სიტყვით თუ წერით, შეგნებულათ თუ შეუგნებლათ — ჩეკენ გვაქვს სრული უფლება ესთქვათ, რომ ისინი წყალს ასხამენ «ჩეკას» წისქვილს და შველიან მის აბრუნებაში!

ჩვენი მოწინააღმდეგენის ზეობრივ-პოლიტიკური ლირებულება ჩვენ კარგათ ვიცით და სწორეთ ამიტომ ვერიდებოდით მათთან კამათს. ვფიქრობდით, ბოლოს და ბოლოს, ჩვენი ლანძღვა-გინებით გულს მოიჯერებდენ და გაჩუმდებოდენ. მაგრამ მათ ეს ჩვენი სიჩუმე ბოროტათ გამოიყენეს და რადგან ეს, სხვის თვალში ბეჭის მაძიებელნი, აღარ ცხრებიან, იძულებული ვართ ზოგი რამ მაინც მოვაგონთ.

მთელ ამ უმგვანო კამპანიას აწარმოებს დღეს «ივერია» და მისი ხელმძღვანელობა გაბაშვილ-პატარიძის მეთაურობით. სამწუხარო კია, რომ ყოველივე ეს ხდება ნაც.-დემოკ. პარტიის ფილმით. ერთხელ შ. ამირეჯიბი სწერდა: «ჩეკენ, ეროვნულ-დემოკრატები ლმერთმა მით დაგვსაჯა რომ ლიდერის მაგიერ ბ. კედია მოვგვა»-ო. და თუ ამის თქმა შეიძლებოდა კედიაზე, თქვენ ადვილათ წარმოიდგენთ რამდენათ დი-

და უნდა იყოს დოკუმენტები ეროვნული მუზეუმის ცოდვა, რომ ღმერთმა მათ ლიდერათ გაბაშვილ-პატარიძე მისცა.

ესენი ორივე ჩვენი ძევლი ნაცნობია. ამათში პირველია, რასაკვირეველია, გაბაშვილი. გაბაშვილი მუდამ და ყოველ-თვის ინტრიგანი და ვაუტანელი იყო. ერთხელ მის შესახებ «თ. გ.» სწერდა: «გაბაშვილის ადგილი საგიურთში და არა პოლიტიკურ პარტიაში». მეორე ავტორი იმავე განხეთში მას ეძახის «სინონიმს ინტრიგანობისას, გესლიანს და შხამით საესეს». კიდევ უფრო საინტერესოა მისი დოკუმენტები აღიურანტი მანველიშვილი, რომელიც სწერდა იმავე განხეთში: «გაბაშვილი მუდმივი თანამშრომელი იყო რუსული რეაქციონური უურნალისა...». «რუსების მიერ გროშებით მოსყიდული ქართველი მოლალატეა...», «გაბაშვილი გამოდის საჯაროთ, როგორც დამცველი «მთლიანი და განუყოფელი» რუსეთის...», «მოუწოდებს ქართველ ბაგშვებს დაუბრუნდენ სამშობლო კერას, რუსეთს»-თ და სხ. და სხ.

ასეთია ბ. გაბაშვილი მორალის, პოლიტიკის და გონების მხრივ. რატომ არის ასე? ჩვენ გვვინია იმიტომ რომ მასში იმბრძვის ორი სული: ქართული და სპარსული. შესახვავათ წინიდან ის ნამდვილი ქართველია, მაგრამ პროფესიულ—უკუკელათ სპარსელი. არ სულში ხან ერთი სუარბობს, ხან—მეორე. რაც დამოკიდებულია დედა-მიწის ბრუნვაზე: ახალ მთვარეზე სპარსული სული სუარბობს, ძველ მთვარეზე—ქართული. სამწუხაროთ ის მართმადიდებელია, ეკლესიაშიც დადის, თუმცა ყოველ საღამოს დოქით ხელში მიღორუში გადის, როგორც ამის ითხოვს მუსლიმანური სარწმუნოება. უკანასკნელი მოის დროს ის სალოცავათ «მექაში» წავიდა და იქ ქარგა ხანს დაჰყო. მაგრამ ერთ ადგილას არ ჩერდებოდა, რადგან ფეხდაფეხ დასდევდა მას «წითელი ჯვარი» და მილო-ონიან ანგარიშებს სთხოვდა, თუმცა ამაოთ. გაბაშვილი «წითელ ჯვარს» კი არა, თავისითავს რომ აძლევდეს მცირეოდენ ანგარიშს მაინც, ბევრ რამეს უთუოთ მოერიდებოდა...

გაბაშვილს შხარს უმშვენებს ელ. პატარიძე. ამიტომ ისიც ცერებზე დგება, რომ მაღალი გამოჩენების. აწუხებს რომ პატარიძეა და არა დიდიძე. ამიტომაა რომ ის ეკამათება მხოლოდ და მხოლოდ ნ. ერთდანიას. ლიდერი—ლიდერს ეკამათება! ის მართლაც რომ ლიდერობს! ან კი რატომ არა! ხომ გაგიგონიათ—უძალო ქვეყანაში კატას აყელებდენ.

ეს გაბაშვილის პოლიტიკურ მორალზე აღზრდილი პატარიძე ხშირათ იმეორებს თავაძის გვარს და მასთან ურთიერთობას. ამის პასუხს ის და მისი ამსონები, ამავე ნომერში, სხვა ადგილას წაიკითხავენ. აქ კი გვინდა მხოლოდ შევეკითხოთ «ივერია»-ს რედაქციას:—იცის თუ არა მან რომ ეს თავაძე არა ერთხელ ყოფილა ეროვნული მუზეუმის ლიდერების წვეული? იცის თუ არა მან, რომ ერთი ამ ლიდერთაგანი რაღაც მოლაპარაკებასაც კი აწარმოებდა მასთან? იცის თუ არა

მან რომ მისი ხელმძღვანელთაგანი მაშინ აპირებდა შერიგებას და საქართველოში გამოიწყებას, როცა თავადე არც კი იყო აქ? იცის თუ არა მან რომ ე. წ. «ცენტრის» ერთი საპატიო თავმჯდომარე წეიმს უმართავდა იმავე თავადეს? იცის თუ არა მან რომ ხსენებული «ცენტრი»-ს გამგეობის ერთი წევრი არამც თუ დაიორდა მასთან, მისი დავალებით სსენებსაც ეპატიუებოდა მასთან? იცის თუ არა მან, რომ ამავე «ცენტრი»-ს მეორე წევრმა, მესამე წევრთან ერთად, ოფიციალური კომიტეტიც კი შექმნეს ემიგრაციის საბჭოთა ხელისუფლებასთან შესარიგებლათ აქაური საელჩოს საშვალებით? იცის თუ არა მან. რომ იმ კრებაში, რომელსაც მისი გამოყენით ემიგრაციის დაშლა დაუდგენია—მონაწილეობას იღებდა ერთი მისი ლიდერთაგანი, რომელიც დაესაც მისი უმთავრესი თანამშრომელია? იცის თუ არა მან... მაგრამ კმარა. დანარჩენი სხვა ტროს.

ახლა კი უნდა აღნიშნოთ აი რა: «ივერია»-ს იმავე ნომერში დაბეჭდილია იმავე პატარიძის მოხსენება. დაბეჭდილი მოხსენება ისე არ გვს წაკითხულს, როგორც დღე არ ჰგავს ლამეს<sup>\*)</sup> ამ დაბეჭდილ მოხსენებაში არის მუხლი: «ასე-თი მეთოდის ფიზიკური მსხვერპლი განდა ჩვენი რამდენიმე დიდი პოლიტიკური და სახელმწიფო კაცი, რომელთა დაკარგვას დიდ ნაკლათ განიცდის ემიგრაცია»-ო. ასეთი ფიზიკური მსხვერპლი ემიგრაციაში ჩვენ ვიცით მხოლოდ ერთი: ესაა მინისტრი ნ. რამიშვილის მკველა. და თუ რა როლი ითამაშეს «ივერია»-ს ზოგიერთმა მიმდევრებმა ამ მკვლელობაში და მკვლელის გასამართლების პროცესში—ამის შესახებ გამოიძინა ჯერ კიდევ არ დასრულებულა და როცა დასრულდება—«ივერია» ნათლათ დაინახავს კინ იყო მსხვერპლი და კინ მკველო, მანამდე კი ურჩევთ ჩუმათ იყოს, იცოდეს რომ ჩვენ სრულიად არ ვფიქრობთ გამოლმა გამოდავებით—გალმა რამე შევარჩინოთ.

«ივერია»-ს ყველა წერილების აღნიშვნა არც საჭიროა და არც საინტერესო. მაგრამ ერთი კი მაინც უნდა გამოვყოთ. ესაა ვინმე შუბლაძე. მართლაც რომ მაგარი შუბლი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ ამდენი სისაძგლე შეთხხა, მიაწერო მოწინააღმდეგეს და მერე ებრძოლო შენ მიერვე მოურილ ამბებს!...

საბრალო «ივერია»! აფხაზი კია რომ ის ამ სახელს ატარებს...

ნაცნობი.

<sup>\*)</sup> «ივერია» კმაყოფილებით აღნიშვნავს რომ «პატარიძის მოხსენებამ დანიშნულ მინებს სავსებით მიაღწია». თუ ეს მიზანი იყო ემიგრაციის დაშლილების გალრმავება, ამ მოხსენებამ მართლაც რომ მას დიდი სამსახური გაუწია.

၆၂၃ ၂၂၄၈၁၅၆၀၁ၬ  
၂၁၈၁၇၁၈၈၈၀၆ ၁၉၀၆ ၂၁၃၀.

ამა წლის 15 იანვარს ჩეცნ მცხოვან ხელმძღვანელს ნოვენერდანიას შეუსრულდა 84 წელი. ამ დღის აღსანიშნავათ მის ბინაზე თავი მოიყარა დიდალმა საზოგადოებამ. იყვნენ წარმომადგენლები ყველა პოლიტიკური პარტიის და ქართული ასოციაციის თავმჯდომარე შ. აბდუშელი. ზეიმი გახსნა ეპ. გეგეჭორმა, რომელიც მხურვალე სიტყვით მიესალმა იუბილიარს და ზეიმის ხელმძღვანელობა გადაუღოცა რ. არსენიძეს, რომელმაც თავისებურ მხურვალე და გრძნობიერი სიტყვით მიმართა წოეს, უსურვა მას ხანგრძლივი სიცოცხლე ქართველი ერის საკუთილდღეოთ. სიტყვებით მიმართეს მას ბ-ნ გიორგი კერესელიძემ, ქ-ნ ლ. აბდუშელისამ და აგრეთვი ახლო მეობრიებმა. წოე ქორდანიამ მაღლობა გადაუხადა დამსწრეთ. მან აღნიშნა რა ზოგიერთ ორატორთა მიერ მოხსენებული მისი ოპტიმიზმი—მან სთქვა: მართალია მე მუდამ ოპტიმისტი ვიყავი და ვარ, მაგრამ მე მას მუდამ ვკრებდი ქართველი ერის წიალიდან, მისი რწმენიდან, რომლის ლაპარი ჩაუქრობელია, იმედი გაუტეხელია. მას აქვს მუდმივი სურვილი იყვეს თავისუფალი და არის დარწმუნებული, რომ გაიმარჯვებს. მან უსურვა დამსწრეთ ამ გამარჯვების რწმენით შეიარაღდენ, რომ ყველანი მოესწრებიან თავისუფალ სამშობლოს ხილვას...

ଶ୍ରୀମଦ୍ଭଗବତ

დიდ მაღლობას კუცხადებ ყველა იმათ ვინც მომილო-  
ცეს ჩემი დაბადების 84 წელი, როგორც პარიკის, ისე მის  
გარეთ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს.

## 6. ქორდანია.

საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის  
კალისტრატოს გარდაცვალება.

ჩვენს დაპყრობილ სამშობლოში სარწმუნოება იღევნება, ხელისუფლება ყოველგვარ ლონისძიებას ხმარობს იგი თავის მიზნებისთვის გამოიყენოს.

ქართველ ერს მუდამ ახასიათებდა რწმენის პატივისცემა, მისი სასოებით მოპყრობა. სასულიერო წოდებამ და მისმა მწერლობამ თავის დროზე უდიდესი სამსახური გაუწია ქართულ კულტურის დამკვიდრებას და წარმატებას; მაშასადამე ჩვენში სარწმუნოება ერთს სულიერ სამკაულს და საგანძუროს წარმოადგენს, რომლის დარაჯი და ხელმძღვანელი უაღრესად მძიმე პირობებში გაჩდა განსცენებული კათალიკოსი კალისტრატე. ადამიანი დიდი ცოდნისა და ბუნებისა, ლრმა მორწმუნება და კეთილი... ოუპატიის ხანის ისტორიის ფურცელი უსათუოდ დადგებითად მოიხსენიებს ამ დიდ ადამიანის სახელს, რომელსაც უსათუოდ მოუხდა ბილიკებით სვლა ერთი სულიერ ტეივილების შესამსუბურებლად...

გასული წლის 27 დეკემბერს, ხანმოკლე ავაღმყოფობის შემდეგ, სოფელ ლევილში გარდაიცვალა ცნობილი მხედარი სვიმონ წერეთელი. მისმა დაკარგვამ ლრმა მწუხარება გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში. სოფელში მასთან მიღიოდნენ, ჩომ მისი მომხიბლველი, მომაჯადოებელი მუსაიფით დამტკბარიყვნენ, ლტოლვილის მძიმე სევდიანი დლეები დაიწყებისთვის მიეცათ და ერთ დლეს მაინც თავი წარმოედგინათ საკუთარ სოფელში... ასეთი თბილი ატმოსფერო შექმნა ამ გულწრფელ პატრიოტმა, სამშობლოს მოყვარულმა. დამოუკიდებლობის დაცვისთვის გაშლილ ფრონტებზე თავდადებულ მებრძოლმა, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობის უცხოეთში დალია სული და თან წაიღო ყველასგან სიყვარული და პატივისცემა.

XXX

## ზ ა მ ა რ ი ბ ჩ ი რ უ ა .

დავკარგეთ იშვიათი მშრომელი და ერთგული ამხანაგი. დავკარგეთ ზაქარია ჩიჩუა. ის გარდაიცვალა 30 დეკემბერს ლევილში, ასაკის 76 წლის და დასაფლავებულ იქნა იქვე.

ზაქარია იყო ხელობით ფარმაცევტი. მოწოდებით პოლიტიკური მებრძოლი და ორგანიზაციონი. პირველათ მან გამოიჩინა თავისი პოლიტიკური ნიჭი 1905 წ. გახდა თბილისის ამქართა და ნოქართა მოძრაობის მეთაური და ხელმძღვანელი. მისი მაშინდელი პსევდონიმი იყო «მექაშე». მისი მუშაობით და მეთაურობით ჩატარია ეს ორგანიზაციები ბრძოლაში ნიკოლოზ მეორის რეჟიმის წინააღმდეგ და ისინი მუდამ უჭირდეს მხარს მუშათა გაფიცებს.

როცა რევოლუცია დამარცხდა რუსეთში, დამარცხდა საქართველოშიც. ზაქარია გადავიდა არალეგალურ ბრძოლის ნიადაგზე; აწყობდა საიდუმლო წრეებს, როგორც თბილისში, ისე პოლონენციაში. მისი მუშაობა ამ მხრივ დიდი იყო ჭიათურაში, შემდეგ ბათუმში, სადაც ის დატყვევებულ იქნა, გაასამართლეს და მიუსაჯეს სამუდამო გადასახლება ციმბირში, საიდანაც დაბრუნდა რევოლუციის შემდეგ.

საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის მეთაურობდა ნაციონალური სიმდიდრის სააფთიაქონაწილს. აქ უცხოეთში ის შეუდგა ჩვენი არქივების და პარტიული დოკუმენტების მოვლა-შენახვას, მთელი არქივის წეს-რიგში მოყვანას. ერთი სიტყვით მას უსაქმოთ ვერ გააჩირებდა ვერავინ, მუდამ აინტერესებდა საზოგადო საქმეები. ის მუდამ ფიქრობდა მხოლოდ ჩვენს საქმეებზე, ჩვენ დოკუმენტებზე და მოყვავდა წეს-რიგში თავისუფალი საქართველოს ნაშტები.

დავკარგეთ ერის და სოც.-დემოკ. პარტიის დიდი მუშაკი და მეგობარი.

## კოლონელი ლუი კოპე.

ამა წლის 22 იანვარს გარდაიცვალა საქართველოს ერთგული მეგობარი კოლონელი ლუი კოკე.—რომელსაც ქართველი საზოგადოება კარგად იცნობდა. მთელი ათეული წლების განმავლობაში არ ყოფილა შემთხვევა, რომ იგი არ გამოსულიყო ქართული საზოგადოების წინაშე თავის მხურვალე, გრძნობიერი და გამამხნევებელი სიტყვით. მას კარგად ჰქონდა შესწავლილი ქართული საკითხი, იცოდა ქართველი ერის სატკიცები, გაცნობილი იყო მის მიმღინარე ბრძოლას დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. მთელი თავის ენერგიით, თავდადებული შრომით, სიტყვით და ბეჭდვით იგი ამ ბრძოლას მხარს უჭირდა, პოლკაგანდა ეწეოდა. ქართველმა საზოგადოებამ დიდი შეტარებით გაიგო მისი დავკარგეთ. მის დასაფლავებაზე მხურვალე სიტყვით გამოვიდა ჩვენი თანამემამულე ბ-ნი აღ. ჩხენქელი.

## ჩართველობა უცხოეთში.

პ ა რ ი ზ ი.

ნოღ ცინცაძის მოქსენება.

20 იანვარს ქართველ საზოგადოების წინაშე მოხსენებით გამოვიდა ნოღ ცინცაძე, რომელიც ბ-ნ დავით სხირტლაძესთან ერთად წარგვავნილი იყო ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის მიერ—ამერიკელთა თაოსნობით მოწვეულ თათბირზე ვისბადენში. მომხსენებელმა თავის შესავალ სიტყვაში ნათლად და მეაფიოდ გამოხატა ის გზები, საითქენაც უნდა მიემართებოდეს ჩვენი ეროვნული საქმიანობა. ხსენებულ თათბირზე ესწრებოდნენ რუსების ხუთი ორგანიზაციის და აგრძელებულ რუსეთის ფარგლებში მოწყვდეულ ჩაგრულ ერთა წარმომადგენელნი. მოხსენებიდან გამოირკვა მრავალი საინტერესო მომენტები ჩვენი ურთიერთობისა რუსების მიმართ, და ჩვენი დელეგატების ენერგიული და ნაყოფიერი მუშაობის შედეგათ ეროვნული საკითხის სათანადო ნიადაგზე დასყენებლათ; კერთ საქართველოს საკითხი, რომლის სუვერენული უფლების აღიარება უდავოთ იქნა მიჩნეული. მოხსენების შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ექიმ კამა ხალჭლავას მოქსენება.

დიდიალ საზოგადოების წინაშე კვირას 2 მარტს ექიმ კ. ხოჭოლავა წაიკითხა მეტად საინტერესო მოხსენება საექიმო მეცნიერების შესახებ.

შესავალში მან მოიხსენია განსვენებულ ექიმ ვახტანგ ლამბაშიძის დამსახურება ამ დარგში და ის ლექტორი, რომელიც მას მიუძღვის საქართველოში რამოდენიმე ახალი სამკურნალო მეთოდის შემოღებისთვის. შემდეგ ის შეეხო საექიმო მილწევებს, როგორც ტერაპევტიულ, ისე ქირურგიულ ნაწილში.

მიუხედავათ საგნის ვიწრო სპეციალობისა, მომხსენებელმა ჩინებულად შესძლო მდაბიონ და გასაგებ ენით დიდი ინტერესი გამოიწვია საზოგადოებაში, რომელმაც მაღლობის ნიშნად მხურვალე ტაშის ცემით დაჯილდოვა მომხსენებელი.

ვახვ ლაბაძის მოქსენება.

25 ნოემბერს ქართველ საზოგადოების წინაშე ამხ. ვ. ლაბაძემ გააკეთა მოხსენება შემდეგ თქმაზე: «საკაცთაშორისო ამბები,—საქართველო და რუსეთი». მომხსენებელმა დაუპირისპირისპირა რა მეცნიერული სოციალიზმის მთავარი პრინციპები რუსულ ბოლშევიზმს, უტყუარი საბუთებით მან ნათელი გახადა ამ ორი დოქტრინის რადიკალური სხვაობა, უდაო შემარიტებათ გახადა ბოლშევიზმის რუსული ბუნება, პან-

სლავიზმის უდაო სახე—სოციალიზმის ნიღაბ ქვეშ. მიმდინარე აქტიურულ პოლიტიკურ ურთიერთობის სფეროში მან უდიდეს ყურადღების ლირსად აღიარა ამერიკა-ოსმალეთის კავკასიური პოლიტიკის კომბინაცია. დასასრულ მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ ეროვნულ ერთიანობისაკენ. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს: რ. არსენიძემ, გრ. ურატაძემ, გრ. წერეთელმა, ტ. წელაძემ და გ. მოდებაძემ... თავის საბოლოო სიტყვაში მომხსენებელმა პასუხი გასცა მოკამათეთ...

### ო ნ გ ლ ო ხ ი.

სიამოვნებით აღვნიშნავთ ბ-ნ ან. გუგუშვილის შრომას, რომელმაც საინტერესო წერილი მოათავსა «ეასტრკურტ». ში გასული წლის დამლევს შემდეგი სათაურით: «კავკასიის ერთა ბრძოლა თავისუფლებისთვის»...

ჩვენმა ამხ. კ. იმნაძემ ურცელი წერილი მოათავსა «ტე აზიატიკ რევიუეში»... სადაც იგი დაწვრილებით აცნობს ინგლისელ მკითხველებს—ბოლშევიზმის წარმოშობის ისტორიას, მის რუსეთში გამფებას; თებერვლის რევოლუციის დღებს და ამიტო კავკასიის ამბებს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას, დაკარგვას და მის მოსაპოებლად გამართულ ბრძოლებს.

### ა მ გ რ ო პ ა.

ამა წლის თებერვლის პირველ რიცხვებში ნიუორკში მოხდა ყრილობა ახალ დაარსებულ ამერიკულ-უკრაინულ საზოგადოების, რომლის მიზანია გააცნოს ამერიკის საზოგადოებრივ აზრს უკრაინულ ერის ისტორია და მისი ხალხოსნური ბრძოლა თავისუფლებისათვის. საქ. ს.-დ. პარტიის სახლვარ-გარეთელ ბიუროს სახელით ამხ. ი. გოლდმანი მგრძნობიარე სიტყვით მიესამა და მიუღლოცა ყრილობას. კრება დიდის თანაგრძნობით შეხვდა ორატორს და მხურვალე ტაშით დაჯილდოვა.

ყრილობაში სხვა დადგენილებათა შორის, ემიგრაციის ანტიკომუნისტურ ძალთა გაერთიანებაში მონაწილეობის შესახებ წინასწარ აუცილებელ პირობათ აღიარა უკრაინის სუვერენიტეტის ცნობა.

### ა ვ ხ ტ ო პ ა.

საქართველოს დაპყორბის 30 წლის თავზე, ჩვენმა ამხ. ნიკო იმნაიშვილმა მოათავსა საინტერესო წერილები ავსტრიის ს.-დ. პარტიის 2 ცნობილ ორგანოში გრაცის და კლანგერვურტის «ზოე ცაიტუნგ»-ში, სადაც იგი დაწვრილებით აღწერს დამოუკიდებელ საქართველოში მოხდენილ რეფორმებს... ეროვნულ ცხოვრების წარმატებას, რომელიც შეწყვეტილ იქნა რუსეთის შემოსვლის გამო.

პარიზის სათვისტომანს ჭლილი პრეზენტი.

კვირას, 16 მარტს, შესდგა პაროზის ქართულ სათვისტო-  
ბოს წლიური კრება. ღლის წესრიგში იდგა გამგეობის მუშა-  
ობის გაცნობა და ახალი არჩევნები. კრება გახსნა გამგეობის  
თავმჯდომარებ შ. აბდუშელიმა, რომელმაც მოკლე სიტყვით  
აღნიშნა საქართველოს კათალიკოსის კალისტრატეს გარდა-  
ცვალება და აგრძელებულ კოლონებს და ზ. ჩიჩუას დაკარ-  
გვა. კრებამ ფეხში ადგომით პატივი სცა მათ სსოვნას.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა გ.კერესელიძე. გამგეობის თავმჯდომარე კრებას აცნობს წლის განმავლობაში გამგეობის მიერ წარმოებულ მუშაობას. იხსენიებს თუ რა დიდი შინაარსით ჩატარდა 26 მაისის დღესასწაული. გამგეობას მიულია ზომები ამერიკის საგარეო მინისტრის აჩესონის შესანიშნავი მიმართვა ქართველი ერის მიმართ, ვრცლად გა-ევრცელებინა. აღნიშნავს 150 წლის დაპყრობის თავზე გამართულ კრებას, რომლის ჩეზოლიუცია გამოუქვეყნდია უცხო პრეზენტს. მოიხსენია ის ზრუნვა, რომელიც გამგეობამ გასწიო მოხუცთა თავშესაფარ სახლის შესაძენათ. აღნიშნა შობის სის გამართვა და მომლერალ გუნდის შექმნის საკითხი და სხ.

სარეკიზო კომისიის სახელით პრ. ინჟინირეული ადასტურებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ გაწულ მუშაობას და ახვარის ს. კრება მაღლობას უცხადებს გამგეობას ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამის შევ წამოყენებულ იქნა თავმჯდომარის ასარჩევთ თრი კანდიდატი შ. აბდუშელი და ლ. ზურაბიშვილი. კრებამ ხმის უმეტესობით, ფარული კენჭის ყრით, აირჩია შ. აბდუშელი.

გამეცილის წევრებად ერთხმად იქნენ არჩეულნი: ქ-ნი  
ირ. ბაგრატიონი, მ. დადიანი, ბ.ბ. ვ. ინწყიორველი, ვ. ტულუში,  
თ. ანთაძე, აკ. გამსახურდია, ალ. აბაშიძე, ვ. შუბლაძე და ნ.  
ბოკუჩავა. სარევიზო კომისიაში: პრ. ინწყიორველი, გასო ვე-  
ლიძე და აკ. ასათიანი.

„ଓঠাকুম্বলী সুরক্ষা পদ্ধতিগুলু”

გამოვიდა «ქართული ეროვნული საბჭოს» ორგანო «მე-ბრძოლი საქართველო».

კურნალში მოთავსებულია: ნ. ჟ., ევ. გიგეჭორის, კ. გვარ-ჯალაძის, გრ. ურატაძის, რ. არსენიძის და სხვა წერილები. მოთავსებულია აგრეთვე დეკლარაციები: სოციალ-ფედერალისტთა პარტიის უცხოეთის ბიუროს და გაერთიანებულ სოც.-დემ. ორგანიზაციისა, წაკითხული საბჭოს ყრილობაზე, ქართულრუსული პრესის მიმოხილვა, ნეკროლოგები და სხ...

## პარტიული ცხოვრიბა.

გასული წლის 23 დეკემბერს, სოც.-დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციაში ამს. ნოე ცინცაძემ გააკეთა მოხსენება ვისბადენში ჩატარებულ მუშაობის შესახებ. აზრთა გაცელა-გამოცელის შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო (ცრთი ხმის წინააღმდეგ) ამს. პ. სარჯევლაძის მიერ წარმოდგენილი რეზოლუცია: «ს.-დ. პ. პარიზის ორგანიზაციამ მოისმინა რა ამს. ნოე ცინცაძის მოხსენება ვისბადენის თათბირის შესახებ, უცხადებს მას მადლობას იმ გაწეულ მუშაობისთვის, რომელიც მან ჩატარა ვისბადენში. ავალებს ეროვნულ საბჭოს სოც.-დემ. ფრაქციას განაცრძნოს მუშაობა იმ ხაზზე, რაც გამოხატულია ეროვნულ საბჭოს წესდებაში».

## შორისი რედაციის მიზართ.

### პატივცემული რედაქტორი

«ჩვენი დროშა»-ს № 10 მოთავსებულია პარიზის ქართველთა 9 სექტემბრის საზოგადო კრების ანგარიშები «იგი»-ს ხელმოწერით. სიმართლის აღსადგენათ უურნალის მორიგ ნომერში გთხოვთ მოათავსოთ შემდეგი:

არავითარი მონაწილეობა საზოგადო კამათში მე არ მიმიღია და არც არავითარი წინადადება შემიტანია. ვაცხადებდი მხოლოდ რომ იმ დღის კრების იმ სახით მოწვევის წინააღმდეგი ვიყავი; და გამოვსთქვამდი სურვილს, რათა ყოფილიყო მილებული ყოველგვარი ზომები, ვისგანაც ეს საჭირო იყო, რომ მომავალ ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი ყოფილიყო ყველა სანდო ანტიბოლშევიკური ქართული ძალები.

ჩემმა განცხადებამ და სურვილმა გამოიწვია ბაგრატ წულაძის მშერმეტყველური ჩარევა, რომელიც ისე მოხდენილათ მოყავს «იგი»-ს.

კეთილი და სოციალისტური სალამით  
ვახდ ლაბაძე.

## 3. ლაბაძის შორისი გამო.

ვერ გავიგეთ რაზედ ჩივის ვ. ლაბაძე! ჩვენ ვსწერდით: «საერთო კამათში შეკითხვების თუ წინადადების შემოტანით მონაწილეობა მიიღეს» თქმ და ჩამოთვლილია გვარები მათ შორის ვ. ლაბაძეც. ეს არის და ეს. რა არის აյ «სიმართლის აღსადგენი?..

თვით ლაბაძე სწერს: «ვაცხადებდი მხოლოდ, რომ იმ დღის კრების იმ სახით მოწვევის წინააღმდეგი ვიყავი»-ო და სხ. და უმატებს: «გამოვსთქვამდი სურვილს ყოფილიყო მილებული ყოველგვარი ზომები ვისგანაც საჭირო იყო, რომ მომავალ ეროვნულ საბჭოში წარმოდგენილი ყოფილიყო ყველა სანდო ანტიბოლშევიკური ქართველი ძალები»-ო და

ՏԵ. Ի՞շ տղ լածացեմ ա՛ռ ուսու, հռմ հայոնցան «Կոռալլացարո Ֆո-  
մեծո» ուղա մոլցածուլո, հատա ցրացնուլո մտլունածա ճամպա-  
րցածուլուո, զուտուու և կուրցածա ցեղա մաս ամու գանմեռացած?..

Հոգուրը ցեցաւու ց. լածացեմ ա՛ռու ցամուտէցամ ճա  
ֆոնաւագեթա ցայսկցուցածու, և վարուց ամուրմ ալզնութեց հայոնց  
մուսու ցարու սեցա մոնախուլուցա Ցուրուո. մարա հոգուրը և հանս  
ց. լածացեմ ամու ա՛ռ ցաւու և մոնախուլուցա համար—ցեր ցա-  
ցուցա.

### ԵՐԱԾՈՅ ՑԱԽԱԲՈՒԾՈՎ.

Գարդապարանու ամեանաց սերցու մշումանունու քարհենուլ  
նոյտցածուս ցանաւագեթա ամութեցնուլո տանս պարու 11.325 ցր.

1) ամ տանենուն ցագաւու 3.000 դրանցու գասագուլացեցուս եա-  
րացցածու Ցեսացեթատ.

2) մուս սագուլացի ցագութեցու մեցլուս եարացցամ Ցեագ-  
ցունա 6.000 դրանցու.

3) գառհենուլու 2.325 դրանցու ցագաւու պարանալ «հայոն  
գործա»-ս ցունցուս ցասածուցուցածուատ.

### ՃԱԿՑԱԽՈՒՅԱ «ՔՅՈՒՆ ՇԱՀՈՒՄԱ»-Ե.

յալ. սեմունան հրցայցուամ մուսու հայոն տանս մունամուլուս  
ամե. օլ. սալույցածուս մույր Ցեցրուցուլո տանս, հուտուուսաց  
հոգուրը մաս ուսց Ցեմումթուրցուլու մագունած պարսացեթ.


Ցեմուսիուրցու: օլ. սալույցածու, ն. որացացուց, գ. կայր-  
ուցուց, զ. սալույցածու, յ. կարպաթաց, թ. կոփաց—տուռմ  
ատաս-ատասու դրանցու. ո. կոցցունուց, չ. կոմծուրցու, մ. ցույնու,  
զ. մեթուլաւու, թ. սեմունու, թ. կուրուկուց—տուռմ եստաս-  
եստասու դրանցու. լ. սալույցածու, ո. Ցագուու, ալ. Ցատուրուցուլու,  
կըացցուցուլու, թ. գույնուցու—տուռմ որաս-որասու դրանցու.  
ս. կորայցածու 300 դրանցու. զ. սալույցածու, ց. սալույցածու—տուռմ  
աս-ասու դրանցու. սուլ 11.100 դրանցու.

լուացու, թափացարունու ցր., եցլուաց տուռմ 300 ցր.; նշուրա-  
ծինցուլո, կորուաց տուռմ որասու դրան; ըռունուց, կոմու-  
Շցուլո, մեթուլուցուլո, սարաւուց, պացարցու, ցոցցացու, կան-  
ուրունու, ֆույլաւուրո, ցահեհուլացու, Ցեցրուցուլու ցր., մցալութեռու-  
Շցուլո, հիյ., ցունեշա բա մուշ. հիշունուց տուռմ ասու դրանցու.

Ցենցուցալացան—հայոն մեցութունա 5 դռունարո.

ամերոյցուցան—ո. ցուլցմանուսցան 3 դռունարո.

ֆոնա նոմերմու Ցեցրումուտ ճակեցուցա: կցուրկցուու 5 դռ-  
լարո... սնճա ուցցու կցուրկցուու 5 դռունարո.



Պայունու ճա ճասածեցու մասալլու սնճա ցամուցացնուս Ցեմ-  
պացու մուսամարտու:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)